დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა ედიშერაშვილი

წევრები:

ქეთევან რეხვიაშვილი
ეკატერინე გურგენაშვილი
ეკატერინე გავაშელიშვილი
ანჟელა აბულაძე
ნინო ბერიშვილი
ნათია კურტანიძე
თეა გაბისონია
შაქრო ჟღენტი
ედუარდ ნაკაიძე
ნათია ბალხამიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402927

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. საჩხერე
იურიდიული მისამართი	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11
ფაქტობრივი მისამართი	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას ვებ-გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Sachkhere1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 811 622

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	591 811 622

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 23 0000663914 - 09/06/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27.06.2023-28.06.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეზური	ქართული	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობის კულტურა. სკოლაში დამკვიდრებულია დემოკრატიული მართვის მოდელი, თანამშომლობითი გარემო. სკოლაში შექმნილია მისიისა და ხედვის რევიზირების წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის თითოეული წევრი ორიენტირებულია სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე და აქტიურადაა ჩართული დაგეგმილ აქტივობებში.
2. სკოლაში განსაკუთრებით ეფექტურად ფუნქციონირებს რესურსოთახი, რაც აღჭურვილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული რესურსებით, ციფრული ტექნიკით. მუშაობს 3 სპეც. მასწავლებელი და 1 ასისტენტი, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლებთან და გამოცდილებას უზიარებენ სხვა სკოლებსაც.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფინანსური რესურსები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- 800	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ✓ **დაწყებითი საფეხურის ზოგადასგანმანათლებლო პროგრამა,**
- ✓ **საბაზო საფეხურის ზოგადასგანმანათლებლო პროგრამა,**
- ✓ **საშუალო საფეხურის ზოგადასგანმანათლებლო პროგრამა.**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი**	**ხარვეზი**

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**გამხორციელდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება 2024 წლის 6 ივნისამდე.** **სკოლამ მოცემულ ვადებში განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟება;**
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	**სკოლის შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განხორციელდეს შემდეგი:** ✓ **სკოლის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) მიღება 2024 წლის 2 თებერვლამდე.** ✓ **სკოლის შიდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია 2024 წლის 30 მაისამდე;** ✓ **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება 2024 წლის 30 მაისამდე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	**სკოლის ინკლუზიური გარემოს სრულყოფის მიზნით:** ✓ **დამონტაჟდეს ლიფტი 2024 წლის 30 მაისამდე;** ✓ **სკოლის პირველ სართულზე არსებულ საპირფარეშოში მოეწყოს ადაპტირებული სველი წერტილი 2024 წლის 30 მაისამდე.**
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	**მართვის პოლიტიკის დოკუმენტში საჭიროა დაკონკრეტდეს კადრების მოზიდვის, შერჩევის, სოციალიზაციის, შეფასების, კადრების მოტივაციის გაზრდის, პირადი ინფორმაციის მართვის, დათხოვნის წესები და პროცედურები. ამ დოკუმენტის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარება კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის სკოლის მართვის პროცესებს.**
3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	**შემუშავდეს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესები და პროცედურები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	**თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები აღირიცხოს შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.**
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
4.2.4.3.	შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.	**სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით, საჭიროა ხელშეკრულებებში ზუსტად განისაზღვროს საათები არასასწავლო დროის მონაკვეთში. კონკრეტულად მიეთითოს, თუ რა პერიოდში მოხდება ფართების გამოყენება.**

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)**	**რჩევა**
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საინფორმაციო ტექნოლოგიების კურიკულუმებში სასწავლო რესურსების ბმულები იყოს აქტიური, რათა მათზე დაწკაპებით შესაძლებელი იყოს რესურსზე გადასვლა. კომპლექსური დავალების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		პირობები ჩამოყალიბდეს ნათლად და მკაფიოდ, გაიწეროს მისი ეტაპები დეტალურად, აგრეთვე, რიგ შემთხვევებში მოძიებული/შექნილი იქნას ერთზე მეტი კონტექსტმაგალითი.
2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	საინფორმაციო ტექნოლოგიებში სასურველია, ყველა შევსებულ კურიკულუმის ჩარჩოს მომდევნო ეტაპზე დაერთოს შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, ინსტრუმენტები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მაგ: მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი ამა თუ იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ე.წ. „სამდონიანი შეფასება".

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა (2020-2026), რაც არ მოდიოდა შესაბამისობაში სტანდარტთან. მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (რაც ასევე გათვალისწინებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 5 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხორციელდა ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა და დამტკიცება. ახალი შვიდწლიანი გეგმით განისაზღვრა 9 სტრატეგიული მიზანი:

- ✓ სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
- ✓ ადამიანური რესურსების განვითარება;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა;
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ✓ მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- ✓ ორგანიზაციული განვითარება;
- ✓ სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;
- ✓ სისტემატური მონიტორინგის სისტემის დანერგვა.

წარმოდგენილია მიზნების შესაბამის ამოცანები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია SWOT ანალიზის გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები.

2. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (რაც ასევე გათვალისწინებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 5 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხორციელდა ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა და დამტკიცება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. ექსპერტთა ვიზიტის დროს მასწავლებელთა პირად საქმეებში არ ფიქსირდებოდა ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ და „საქართველოს კანონის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები. მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (რაც ასევე გათვალისწინებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში) და დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2020 წლის შემდგომ მიღებულ ყველა მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს სამი ტიპის ცნობა:

- ✓ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შესახებ“;
- ✓ ნასამართლეობის შესახებ;
- ✓ უფლების ჩამორთმევის შესახებ.

4. სკოლაში ვიზიტის დროს არ იყო შემუშავებული დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. არ იყო წარმოდგენილი მკაფიო რეგულაციები, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შეფასების სისტემის ხარისხიანობის განვითარებას. არ ჩანდა, თუ როგორ გეგმავდა სკოლა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. სკოლა გამოხატავდა მზაობას, რომ შეიმუშავებდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს მომავალი სასწავლო წლისთვის. სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (რაც გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმაშიც) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 11 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით #2-157 დამტკიცებულია ვერიფიკაციის დოკუმენტი. გაწერილია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, ვერიფიკაციის პრინციპები, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის პროცესი, ფოკუსი, ვერიფიკაციის ანგარიში და შედეგები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) მისია ასე გამოიყურება - „აღვზარდოთ ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების მქონე გლობალური მოქალაქე, რომელიც იქნება მსოფლიო სივრცეში რეალიზებული“. მისია ფოკუსირებულია ეროვნულ და დემოკრატიულ ღირებულებებზე, გლობალური მოქალაქის აღზრდაზე და მოსწავლის რეალიზებაზე.
   სკოლის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან - „ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირებით, 2030 წლისთვის, ჩვენი სკოლა აღიარებული იქნება საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვლი, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების აღმზრდელი“. ხედვაში ყურადღება მახვილდება მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების განვითარებაზე, რათა სკოლა იყოს საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს იყოს კონკურენტუნარიანი ეროვნულ და საერთაშორისო (შრომის ბაზარზე) დონეზე.
   სკოლის საერთო კულტურა განსაზღვრავს, თუ რა ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება სკოლა. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ღირებულებებია:
   ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრება მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და თემს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;
   ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;
   გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობა;
   დ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
   ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა;
ზ) გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის;
თ) კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება;
ი) დემოკრატიული პრინციპების ერთგულება.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ხოლო ღირებულებები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს, პრიორიტეტულ თემებს.
სკოლამ მოცემული მისია, ხედვა და ღირებულებები შეიმუშავა სკოლის რევიზიის ჯგუფმა (დამტკ. დირექტორის ბრძანებით) სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების გაერთიანება იმ მუხტით, რომ მონაწილეობა მიიღონ მისიისა და ხედვის შემუშავებაში, გაითავისონ რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის აზრს, რომ დგას დემოკრატიულ პრინციპებზე და მნიშვნელოვანია გუნდური, თანამშრომლობითი გარემო. ეს სკოლას დაეხმარება კარგად შეისწავლოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები.
სკოლაში მიისიის, ხედვისა და ღირებულებების გა\თვალისწინებით დაგეგმილია მნიშვნელოვანი სასკოლო პროექტი „ჯანსაღი ცხოვრება“, გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, კულტურული მრავალფეროვნების, კონფლიქტების მართვის, გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმილი სასკოლო პროექტები. მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია მრავალფეროვანი კლუბური მუშაობა. სკოლა გეგმავს ინტეგრირებული, ინოვაციური, პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების ჩატარებას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩანს, რომ სკოლა წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მისიისა და ხედვის რევიზირებაში ჩართული იყო სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. მისიისა და ხედვის რევიზირების პროცესში ჩართულია: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელები და დაინტერესებული მასწავლებლები (16 წევრი). ჯგუფმა 2023 წლის 6 მარტიდან დაიწყო მუშაობა დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მარტსა და აპრილში შეიმუშავეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ელექტრონული გამოკითხვის ფორმები (კვლევა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის) მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის. შედეგები გაითვალისწინეს სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებისას. 2023 წლის მაისში რევიზიის ჯგუფმა დაასრულა სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებაზე მუშაობა. სკოლის ადმინისტრაციასა და რევიზიის ჯგუფის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, სამოქმედო გეგმითა და სკოლის დერეფანში გაზიარებული ახალი მისიითა და ხედვით დასტურდება, რომ ახალადშემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. გასაუბრებისას რევიზიის სამუშაო ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ უზრუნველყოფენ საჯარო განხილვების ორგანიზებასა და უკუკავშირის მიღებას, რათა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოებაში. სკოლა ახალ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს გაასაჯაროვებს სკოლის სოციალურ გვერდზე. სასწავლო წლის დასაწყისში სადამრიგებლო საათზე, მშობელთა კრებებზე მოხდება შინაარსობრივი განხილვა, რათა სასკოლო საზოგადოებამ გაითავისოს და იყოს შთაგონებული სკოლის მისით, ხედვთა და ღირებულებებით.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. ექსპერტთა ვიზიტის დროს ახლადშემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული იყო სკოლის დარეფანში არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდებაა - „სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა“, რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 (15/09/2005) ბრძანებით დადგენილ სახელწოდებას, ასევე საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასს №194 (16/03/2007) „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024)პროექტი;
- დირექტორის 2023 წლის 24 მარტის ბრძანება #2-22 „სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიის ჯგუფის შექმნისა“ და სამომქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები (კითხვარი- სტატისტიკით);
- მშობელთა გამოკითხვის შედეგები (კითხვარი- სტატისტიკით);
- სასკოლო პროექტი - „ჯანსაღი ცხოვრება“;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ რევიზიის ჯგუფთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2020 წელს შემუშავებული ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და 2022-2023 სასწავლო წლის (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმები. ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, სკოლა გეგმავს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას, რაზეც მუშაობს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიის ჯგუფი. სკოლამ ექსპერთთა ვიზიტის დროს წარმოადგინა შემუშავებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიზანია აღწეროს სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავებული უნდა იყოს ორი დოკუმენტი:
   - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
   - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

   სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს:
   - ✓ გუნდური მუშაობა;
   - ✓ თანამონაწილეობა;
   - ✓ გამჭვირვალობა;
   - ✓ სამართლიანობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ მიზანშეწონილობა;
- ✓ პასუხიმგებლობა;

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება რევიზიის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე. ამ პროცესში სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორი.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება;
- ✓ სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული კვლევა სასკოლო საზოგადოების წევრებთან;
- ✓ კვლევის შედეგების ანალიზი;
- ✓ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება;
- ✓ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მომზადება და განხილვა;
- ✓ სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
- ✓ სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმის გაზიარება;
- ✓ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- ✓ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების გაზიარება.

რევიზიის ჯგუფი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; აყალიბებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტს; საბოლოო ვარიანტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. დამტკიცებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს აზიარებს სასკოლო საზოგადოებაში და ხელმისაწვდომს ხდის ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში მიმდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება რევიზიის ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მეთოდოლოგიად გამოიყენებენ SWOT ანალიზს. მოცემული მიდგომა გუნდს დაეხმარება მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების რელევანტურად შემუშავებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2020-2026 ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ძირითადი მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები წლებისა და თვეების მიხედვით. მოცემული დოკუმენტი ითვალისწინებს პროცესის ციკლურობას, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლას შეუძლია მოცემული გამოცდილების საფუძველზე შეიმუშაოს სტრატეგიული განვთარების შევიდწლიანი გეგმა და ერთწლიანი (2023-2024 სასწ. წ) სამოქმედო გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს რევიზიის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია, რომ ჯგუფმა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი (2023-2024 სასწ/წ) სამოქმედო გეგმების შემუშავება უნდა დაასრულოს 2023 წლის ივნისის ბოლოს. *რევიზიის ჯგუფის სამოქმედო გეგმა თავისი დანიშნულებითა და სტრუქტურით ძალიან ჰგავს „შესაბამისობის გეგმას“, თუმცა არ მოიცავს მის ყველა სტრუქტურულ მახასიათებელს. მაგალითად:*

- ✓ *არ ჩანს კონკრეტულად, სტანდარტის რომელ კომპონენტს/კრიტერიუმს/ინდიკატორს მიემართება აქტივობა;*
- ✓ *არ არის მოცემული შესაბამისობის ტიპი (მიღწევის დონე);*
- ✓ *არ არის მკაფიოდ დაკონკრეტებული პასუხისმგებელი პირები (ყველა აქტივობაზე მითითებულია მხოლოდ რევიზიის ჯგუფი), ასევე მატერიალური და ფინანსური რესურსები, სხვა ჩართული მხარეები;*
- ✓ *არ არის გათვალისწინებული შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა.*

რევიზიის ჯგუფის სამოქმედო გეგმის წარმოდგენით მკაფიოდ იკვეთება, რომ სკოლას აქვს მაღალი მზაობა, შექმნას მოქნილი და რელევანტური შესაბამისობის გეგმა.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა (2020-2026), ხოლო სტანდარტით გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

<u>მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (რაც ასევე გათვალისწინებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 5 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხორციელდა ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა და დამტკიცება.</u>

<u>ახალი შვიდწლიანი გეგმით განისაზღვრა 9 სტრატეგიული მიზანი:</u>

1. *<u>სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;</u>*
2. *<u>ადამიანური რესურსების განვითარება;</u>*
3. *<u>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა;</u>*
4. *<u>უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;</u>*
5. *<u>სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;</u>*
6. *<u>მოსწავლეთა მხარდაჭერა;</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. *ორგანიზაციული განვითარება;*
8. *სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;*
9. *სისტემატური მონიტორინგის სისტემის დასანერგად: „სვოტ“ ანალიზის მეშვეობით სკოლა სისტემატურად წარმართავს შიდა მონიტორინგს.*

წარმოდგენილია მიზნების შესაბამის ამოცანები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია SWOT ანალიზის გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით და რევიზიის ჯგუფის ჩართულობით მოხდება 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება 2023 წლის ივნისის ბოლომდე, რასაც სასწავლო წლის დასაწყისში განიხილავს და დაამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. ***სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.***
მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (რაც ასევე გათვალისწინებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 5 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხორციელდა ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა და დამტკიცება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სტრატეგიული მიმართულებები, შესაბამისი ამოცანები აქტივობებით, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, განხორციელების რეალისტური ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს აქტივობების შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორები, რადგანაც ამის გააზრება და წარმოდგენა სკოლის გუნდს დაეხმარება, უკეთ გაზომოს მიღწეული შედეგები/შეაფასოს აქტივობების განვითარების დინამიკა მონიტორინგის დროს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკ. დირექტორის ბრძანება #2-112 – 22.06.2023.)
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების (2023-2030) გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2023-2024 სასწ. წ
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი#1-05.09.2023
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი#1-04.09.2023
- ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2022-2023 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის 2023 წლის 24 მარტის ბრძანება #2-22 „სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიის ჯგუფის შექმნისა“ და სამომქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ რევიზიის ჯგუფთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი და შეფასება სკოლის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად, სტრატეგიული განვითარების გეგმისა - სამ წელიწადში ერთჯერ; მინიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელია სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, რომელსაც დირექტორი ამტკიცებს ბრძანებით. მონიტორინგის დასკვნის საფუძვლეზე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის განახლება. მინიტორინგისა და შეფასების სისტემა ითვალისწინებს SWOT ანალიზს, მონიტორინგის შედაგად გამოვლენილი საფრთხეების თავიდან აცილებას და მონიტორინგის შედაგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებასა და გაძლიერებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გრაფიკი, სადაც წარმოდგენილია ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები წლების მიხედვით.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ შესაბამისი მტკიცებულებებით. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია SWOT ანალიზი, რითაც შეფასდება სკოლის 4 ძირითადი მიმართულება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ძლიერი მხარეები,
- სუსტი მხარეები,
- შესაძლებლობები,
- საფრთხეები.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა, ასევე ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. ამის გათვალისწინებით შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წარდგენა მოხდება პედსაბჭოზე, სამეურვეო საბჭოსთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, სასკოლო საზოგადოებსთან, რათა მოხდეს მათი უკუკავშირის გათვალისწინება, ასევე გათვალისწინებენ მშობელთა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა გამოკითხვების, სასკოლო კურიკულუმის გამხორციელების შედეგებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტაციის ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ შედეგები ასევე წარდეგინება სამეურვეო საბჭოს დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშში.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. მეთოდოლოგიაშიც წარმოდგენილია და სკოლის ადმინისტრაციამაც განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს წარადგენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **სსსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკ. დირექტორის ბრძანება #2-112 – 22.06.2023.)**
- **სსსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის სამუშაო გრაფიკი (დამტკ. დირექტორის ბრძანება #2-23 – 24.03.2023.)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2022-2023 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის 2023 წლის 24 მარტის ბრძანება #2-22 „სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიის ჯგუფის შექმნისა“ და სამომქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. <u>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა</u>

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის წესდებით გათვალისწინებული სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტისა და მოსწავლეთა თვითმმართველობას. გაწერილია თითოეული მათგანის როლი და ფუნქციები. სკოლის მმართველობის უმაღლესი რგოლია სამეურვეო საბჭო. სკოლაში, ასევე, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, 7 საგნობრივი კათედრა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. შექმნილია ხარისხის განვითრებისა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით შექმნილია რევიზიის სამუშაო ჯგუფი. სკოლის უსაფრთხოებას ემსახურება 2 მანდატური, 1 ექიმი; სკოლაში არის 3 სპეც. მასწავლებელი. კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის, კლასის დამრიგებლის, სპეც. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია სასკოლის კურიკულუმში (2023-2024 ს/წ პროექტი). სკოლის ბიბლიოთეკის დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკარის ფუნქციები და მოვალეობები. საქმისმწარმოებლის ფუნქციები და მოვალეობები კი - სკოლის საქმისწარმოების წესში. დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მასწავლებლების უფლება-მოვალეობები დამატებით დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც უზრუნველყოფს სკოლის გამართულ მუშაობას. სკოლას აქვს გაზიარებული ლიდერობის კულტურა, სადაც პასუხისმგებლობები მიზნობრივად ნაწილდება. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტში წარმოდგენილი იქნება აქტივობები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებით. სკოლის 2020-2026 სტრატეგიულ გემებსა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში მითითებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პასუხისმგებელი პირები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა რელევანტურად ანაწილებს პასუხსიმგებლობებს თითოეულ რგოლს შორის.

ექსპერტთა ვიზიტის დროს მკაფიოდ იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დმოკიდებულება, სკოლის მართვის დემოკრატიული კულტურა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა (ნახაზი სასკოლო სასწავლო გეგმაში),
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- კათედრის დებულება;
- საქმისწარმოების დებულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმდო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, შინაგანაწესის, დებულებებისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის ყოველი თანამშრომლის საქმიანობა რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები და ერთი ეგზემპლარი გადაცემული აქვს დასაქმებულს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანხვედრაშია სკოლის პერსონალთა ხელშეკრულებებსა და საქართველოს შრომის კოდექსთან. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.
   სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ექიმი, 3 დარაჯი, 4 დამლაგებელი, 3 სპეც. მასწავლებელი, 1 სპეც. ასისტენტი, 48 მასწავლებელი.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინტერვიუირებიდან ირკვევა, რომ სკოლის დირექტორს გაცნობიერებული აქვს სკოლის ორგანიზაციული მოწყობის მნიშვნელობა დასახული მიზნების მიღწევისთვის და იცის, როგორ შექმნას გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დელეგირებაზე დაფუძნებული სისტემა. ხორციელდება საჭიროებაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საავადმყოფო ბიულეტენზე ყოფნისას, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესების არ შეფერხდეს. სსიპ აკაკი წერეთლის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი“, სადაც გაწერილია:

- ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგია;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში;
- ადამიანური რესურსების პროფესიული განვიათარება;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა;
- პროფესიული განვითარება;
- დასკვნით დებულებები.

სკოლაში არსებობს პერსონალთა დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, კათედრების ხელმძღვანელთა, მასწავლებლის, დამრიგებლის, სსსმ მასწავლებლის, მატერიალუ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმის მწარმოებლის, ექიმის, ბიბლიოთეკარის ანგარიშების წარდგენის პრაქტიკა, რაც იძლევა შეფასდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროებები. სკოლაში შექმნილია ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი“, რომელიც ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი.
სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რათა სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

რჩევა: მართვის პოლიტიკის დოკუმენტში საჭიროა დაკონკრეტდეს კადრების მოზიდვის, შერჩევის, სოციალიზაციის, შეფასების, კადრების მოტივაციის გაზრდის, პირადი ინფორმაციის მართვის, დათხოვნის წესები და პროცედურები. ამ დოკუმენტის სასკოლო საზოგადოებაში გაზიარება კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის სკოლის მართვის პროცესებს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის„ საქართველოს შრომის კოდექსის“ და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლა ვალდებულია შიდა ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, ინფორმაცია განათავსოს სკოლის განცხადებების ადგილას, ხოლო გარე ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე: www.pedagogi.ge, www.teacherjobs.ge . კონკურსანტის შერჩევა ხდება რამდენიმე ეტაპად.
   სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. რაც შეეხება არაპედაგოგი თანამშრომლების შერჩევას, ის სრულდება ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თითოეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს 52 მასწავლებელი, მათგან 3 მენტორი, 17 უფროსი, 28 წამყვანი, 3 უფროსი სპეც. მასწავლებელია. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. მასწავლებლების გავლილი აქვთ პროფესიული გადამზადების მრავალფეროვანი სავალდებულო და არასავალდებულო ტრენინგ-კურსები.
   სკოლამ 2020 წლის 3 ივნისს საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, მიაწოდა სკოლის თანამშრომელთა მონაცემები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადამოწმების მიზნით. 2020 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შემდეგ მიღებლ თანამშრომლებს მოცემული ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შესახებ“ აქვთ წარმოდგენილი.

მასწავლებელთა პირად საქმეებში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა არ ფიქსირდება. საჭიროა მასწავლებლებმა წარმოადგინონ მოცემული დოკუმენტები „საქართველოს კანონის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ თანახმად.

<u>მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (რაც ასევე გათვალისწინებული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში) და დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2020 წლის შემდგომ მიღებულ ყველა მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს სამი ტიპის ცნობა:</u>

- ✓ ***<u>„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შესახებ“;</u>***
- ✓ ***<u>ნასამართლეობის შესახებ;</u>***
- ✓ ***<u>უფლების ჩამორთმევის შესახებ.</u>***

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მნიშვნელოვანი მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან 6 მასწავლებლი, 6 მშობელი და 1 საშ. საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშ. საფეხურის მოსწავლეებისაგან. სკოლაში ფინქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, მანდატური, მოსწ. თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან. ჯგუფის მიზანია:

- სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება;
- ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;
- მასწავლებელთა შიდა შეფასება (ხელშეკრულებით განსაზღ. ფუნქციების შესაბამისობის დადგენა განხორციელებულ საქმიანობასთან);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და განავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების განხორციელება;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა საგნებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა;
- თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრა;

სკოლაში ფუნქციონირებს სტრატეგიული დაგეგმვის რევიზიის ჯგუფი.

მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია სასკოლო საგანმანათლებლო პროექტები, მასწავლებლების, კათედრების თანამშრომლობით. სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც დაწყებით საფეხურზე შექმნილია მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები. გუნდური მუშობის პრინციპით ხორციელდება მესამე თაობის ეროვნული გეგმის დანერგვა სკოლაში. გუნდური მუშაობის პრინციპი სკოლის წარმატებულ გამოცდილებად ჩამოყალიბდა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი აქვს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შიდა მექანიზმები. სკოლა ამ შეფასების საფუძველზე მოახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. წარმატებული პრაქტიკის მქონე მასწავლებელს (სტატუსის შესაბამისი ყველა სავალდებულო აქტივობის განხორციელების შემდეგ) სკოლა წარადგენს მპგეც-თან მასწავლებლის პრაქტიკული ნაწილის შეფასების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ასევე პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირულის, ან/და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლის შინაგანაწესში და წესდებაში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები წარადგენენ ანგარიშებს პრეზენტაციების სახით პედაგოგიური საზოგადოების წინაშე. სკოლის ადამიანური მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ღონისძიები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები, ხორციელდება სხვადასხვა სახის კონფერენციები, მუშავდება პროექტები, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის თანამშრომლები. პროექტების შემუშავება და კონფერენციებში მონაწილეობა ეხმარება მათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში.

სკოლამ განსაკუთრებული წესით სტატუსის ამაღლებაზე გასულ წელს წარადგინა ორი მასწავლებელი, ხოლო მიმდინარე 2023 წელს განსაკუთრებული წესით სტატუსის ამაღლებისთვის წარდგენილი ჰყავს 4 მასწავლებელი. საუკეთესო მუსიკის მასწავლებლის ტიტული მიენიჭა სკოლის მუსიკის პედაგოგს, ხოლო მპგეც-ის მიერ დაწესებული ჯილდო ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გადეცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში არის გარემო, სადაც ხდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის წესდება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,
- პერსონალის პირადი საქმეები;
- მასწავლებელთა ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ;
- საშტატო ნუსხა;
- პერსონალის შერჩევა-დანიშვნის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია, რომ ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ცხადყოფს მოსწავლეთა პროგრესის ანალიზი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მასწავლებლის ირიბი შეფასება.
   პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას. აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;
ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა;
გ) შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;
დ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება.
სკოლაში ასევე შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია და დამტკიცებულია ამ ჯგუფის დებულება. დებულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებლის მხარდაჭერისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული ჯგუფი ესწრება პედაგოგებს გაკვეთილზე და აძლევს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განხორციელებული ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის:

- თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
- ტრეინინგების ჩატარება;
- მასწავლებელთა გადამზადება და სხვა;

სკოლას წარმოდენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ მისიით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას. თანამშრომელთა შეფასების მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდა. დოკუმენტაციის შესწავლითა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა მასწავლებელს სთავაზობს პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასე გარე მექანიზმებს. მაგალითად, სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი საბაზისო განათლების პროექტში, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფარგლებშიც სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებისგან შექმნილია სასწავლო ჯგუფები, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილების ჩატარება, უკუკავშირი და რეფლექსია. სკოლა ჩაერთულია მესამე თაობის ესგ-ს დანერგვის პროცესში. სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეაჯამებს გაწეული მუშაობის შედეგს და შეიმუშავებს ახალ სამოქმედო გეგმას. მასწავლებლებს ინდივიდუალურად მიეწოდებათ უკუკავშირი, რაც მისცემს საშუალებას საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროების გათვალისწინებით დაგეგმონ პროფესიული ზრდა, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ბაზაზე არსებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსები, მპგეც-ის მიერ შემოთავაზებული ტრენინგები და სხვა შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა მოწოდებულია ხელი შეუწყოს პერსონალთა კარიერულ წინსვლას და დროულად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია. ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები მასწავლებლებს დაესწრებიან გაკვეთილებზე, შედეგს განიხილავენ მასწავლებელთან ერთად და მიაწვდიან ზეპირ ან წერილობით უკუკავშირს. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები გაწეული მუშაობის ანგარიშს/რეფლექსიას წარუდგენენ მხარდამჭერ ხარისხის განვითარების ჯგუფს. დირექტორის მოადგილე ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას ყველა ტიპის პროფესიული განვითარების აქტივობაზე, რაზეც შემოდის შეტყობინება სკოლის ელ. ფოსტაზე, ან eFlow-ში - ტრენინგებზე, ფორუმებზე, კონფერენციებზე, დისტანციურ სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მპგეც-ის, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს. პროფესიული ზრდის ხელშემწყობია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის ტრენინგები. ბუღალტერი პერიოდულად ესწრება ტრენინგებს ინვენტარიზაციის, შეყიდვებისა და ავტორიზაციის მიმართულებით. აღსანიშნავია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში სკოლის ჩართულობა, ტრენინგები და ვებინარები საგნობრივ და ლიდერობის ექსპერტებთან, კონფერენციები და გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული გადამზადება ხელს უწყობს პერსონალთა კომპეტენციის ამაღლებას, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დანერგვას და სასწავლო პროცესის ხარისხიანობის მატებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. სკოლის ადამიანური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია თანამშრომელთა სოციალიზაცია (წარმოდგენილია სქემატურ დიაგრამაში), თუმცა არ არის მკაფიოდ გაწერილი ის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სასკოლო საზოგადობასთან.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის მცდელობა აიმაღლონ პროფესიული უნარები, რათა უზრუნველჰყონ სკოლის განვითარება, რაც მიიღწევა მათ მიერ გაწეული სამუშაოების მუდმივი შეფასების, თვითშეფასებისა და რეფლექსიების საფუძველზე. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა პერსონალს სთავაზობს სამივლინებო ანაზღაურებას, სოციალური გვერდის ჯგუფში უზიარებს სიახლეებს პროფესიული განვითარებისათვის, იღებს მათგან უკუკავშირს, სთავაზობს ფულად პრემიასაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დამტკიცების ბრძანება (დებულება);
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმი, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. პოლიტიკის მიზანია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ა) შექმნას სკოლაში ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

ბ) ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე აქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.

წარმოდგენილია ყველა ის ნაბიჯი, რასაც სკოლა უზრუნველყოფს მისიით დასახული მიზნების მისაღწევად.

ხარისხის მართვა არის სკოლის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობა:

- 1.სკოლის საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს სკოლის საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.
- სკოლის სტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიმართულებების შესრულებას.

ჩამოყალიბებულია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში იქმნება: ხარისხის პოლიტიკა, ხარისხის მექანიზმები, პროცედურები და რეგულაციები, შეფასების ფორმები, პროცედურების დოკუმენტური დადასტურება (ანგარიშები).

შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხარისხის შენარჩუნებისა გაუმჯობესების მიზნით. დოკუმენტების ერთობლიობა ხაზს უსვამს სკოლის ვალდებულებას ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი გაუმჯობესების შესახებ. იგი ასახავს ძირითადი პროცესების პოლიტიკასა და პროცედურებს, უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ხარისხის მართვის ჰოლისტურ და ინტეგრირებულ ხედვას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და ფართოდ გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ცდილობას იკვლიოს პროცესები მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვებით, გაკვეთილების შეფასების ანალიზით, განხორციელებული პროექტების შეჯამებით, წარდენილი ანგარიშებით სასწავლო წლის ბოლოს. სკოლაში შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის რევიზიის სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ჯგუფი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით იკვლევს საჭიროებებს, გააანალიზებს და სკოლას შესთავაზებს რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც უკვე მომზადდა ახალი მისია, ხედვა, ფასეულობები და შემუშავდება სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომლიც წარედგინება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს. იგივე ჯგუფი მუშაობს სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიაზეც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას გააზრებული და იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, დებულებებში, თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე პროცესებიც. სასკოლო კურიკულუმის პროექტში მკაფიოდ არის წარმოდგენილი დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია, ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება. ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლის დისციპლინურის კომიტეტი დაკომპელქტებულია თანაბარი მონაწილების უფლების მქონე მოსწავლეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი, მოსწავლე და მშობელი გაეცნობა სკოლის შინაგანაწესს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის პრინციპს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს სამეურვეო საბჭოში. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება განხორციელდება“ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ II თავის მე-12 მუხლით დადგენილი წესით. ბავშვთა უფლებების დაცვა რეგულირდება ასევე „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად. სკოლის წესდებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილია მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესები და პროცედურები:

1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს ორი კვირის განმავლობაში, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ.

2. დირექტორი საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან ორი კვირის ვადაში.

3. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში გადაწყვეტილების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში. სამეურვეო საბჭო ვალდებულია გა ნიხილოს საჩივარი 1 თვის ვადაში.

4. საჩივარი არ განიხილება, თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები: ა) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; ბ) უფლების დარღვევის არსი; გ) მოთხოვნის არსი.

სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც რეგულირდება შინაგანაწესით, სკოლის წესდებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესით, მშობელთან ურთიერთობის დებულებითა და ხელშეკრულებებით.

შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია ისარგებლოს საკუთარი უფლებებით და დაიცვას ის. შინაგანაწესით განისაზღვრება:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი;

დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;

ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;

თ) მატერიალური პასუხისმგებლობა;

ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები;

ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას.

სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, სადაც მოცემულია სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულების, მოსწავლეებისა და მათი კანონირი წარმომადგენლების ინფორმირებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ხელშეკრულებებისა და აღნიშნული დოკუმენტის მეშვეობით. სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

სკოლაში დასაქმებული პირები/მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაიცვან პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და წინამდებარე დოკუმენტი. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა.

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა მექანიზმის დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს.

სკოლას ასევე აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), სადაც წარმოდგენილია სკოლის უფლებები და ვალდებულებები, მშობლის უფლებები და ვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების აღწერა.
მშობელი/მეურვე გამოთქვამს თანხმობას, საჭიროებისამებრ და უსაფრთხოების ნორმების დაცვით გამოქვეყნებული იყოს მოსწავლის პირადი მონაცემები და ფოტოები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #2-111 22.06.2023);
- პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს, კათედრების საქმიანობის ამსახველი ოქმები;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი (დამტკ 08.09.2022 სამეურვეო საბჭოს ოქმი #4);
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის წესდება;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-45 29.09.2021);
- პერსონალური მონაცემ ებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება #1/კ-46 29.09.2021;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-47 29.09.2021);
  - შრომითი ხელშეკრულებები;
  - მშობელთან დასადები ხელშეკრულება;
  - მშობლის თანხმობის ფორმა;
  - ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის ცენტრალურ ფოიეში, განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, Microsoft Teams პლატფორმა, სადაც შესაძლებელია დისტანციური სინქრონული ჩართვა და კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელწადში ერთხელ. დებულება „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ მტკიცდება განათლებისა მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ასევე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, მაქსიმალურად გაითვალისწინებს მათ ინიციატივებს. მშობელთან ურთიერთობის დებულებაში განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობლებს გააცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც სკოლა ჩაერთო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, მასწავლებელი ვალდებულია შექმნილი კურიკულუმი გააცნოს მშობლებს და დავალების ბარათები გადაუგზავნოს მათ.

გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა მოსწავლეთა თვითმმართველობის სახით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი (დამტკ 08.09.2022 სამეურვეო საბჭოს ოქმი #4);
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-45 29.09.2021);
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-47 29.09.2021);
- პედ. საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სკოლის სოც. გვერდი: https://bit.ly/44f3fsg
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა შემოწმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 30 იანვარს. ***სკოლამ 2020 წელშივე შეასრულა დიდი***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი მიწერილობით მიცემული რეკომენდაციებისა, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან აღარ გადამოწმებულა განხორციელებული ღონისძიებების შესრულების შესაბამისობა მიწერილობასთან.

სკოლამ შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 2023 წლის 23 ივნისს შესათანხმებლად წარუდგინა სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და გააკეთა პროექტის ხარჯთაღრიცხვა. ***სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროექტის ღირებულებამ შეადგინა 110 188,60 ლარი, რაც აღემატება სკოლის ბიუჯეტს. საჭიროა სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამისად მოეწყოს ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები, ავარიული განათების სისტემა, ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემა.***

სკოლის ყველა სართული აღჭურვილია 3-3 ცეცხლმაქრით და სახანძრო ინვენტარით, დერეფნებში გამოკრულია შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმები.

<u>სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც დაგეგმილია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობის დასკვნას მოიპოვებენ 2024 წლის 6 ივნისამდე. სკოლამ ასევე წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა და 2023 წლის 11 ოქტომბერს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილი, სადაც ითხოვს ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაში სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერას. პრობლემებს შორის დასახელებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟება;</u>

სკოლას აქვს სამეთვალყურეო კამერები და ემსახურება ორი მანდატური. მანდატურები სასწავლო დროს მუდმივად ახდენენ სასწავლო პროცესის უსაფრთხოების მონიტორინგს. იმისათვის, რომ შეიქმნას უსაფრთხო გარემო, ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, შემუშავებული და დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი და ჰყავს ამ წესის დაცვაზე უფლებამოსილის პირი, სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის განრიგი, ყოველი დასვენებისას კლასების დამრიგებლები მორიგეობენ საკუთარ კლასებთან, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში შემომსვლელ და გამსვლელ პირებზე ყურადღებას, სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადამრიგებლო პროგრამები, სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სკოლას ჰყავს 1 ექიმი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ბრძანების მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალიერებითა და ექიმის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები ბრძანების შესაბამისია.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწვდის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის, სამსახურებრივი ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული გამოკრულია სკოლის ფოიეებში და საკლასო ოთახებში. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია 2 მანდატური, სკოლაში დასაქმებულნი არიან დღისა და ღამის დარაჯები. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების შესვლა მკაცრად კონტროლდება. საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებით, დაგეგმილია საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია “მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“, „ბუნებისმეტყველების“ და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში. სკოლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინკლუზიური გარემოს ფორმირება, სსსმ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ამ მიზნით სკოლაში მუშაობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინკლუზიური განათლების ჯგუფი. სკოლის ერთი სპეც. მასწავლებელი პროფესიით ფსიქოლოგია და მზადაა სჭირო რჩევებით დაეხმაროს, მასწავლებელსა თუ მოსწავლეს. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს და თავადაც წარმოადგენს თანამშრომლობითი კულტურის განვითარების მაგალითს, რასაც ადასტურებს გაზიარებული მართვის პროცესები. დაგეგმილია საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება), ოჯახში ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესი. სკოლას დანიშნული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია ძალადობისა და ბულინგის საწინააღმდეგო პრევენციული გეგმა. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს სკოლაში ბულინგის შემთხვევების არიდება და აღკვეთა, რაც მასწავლებლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლისთვის რთულია ბულინგის პრობლემასთან გამკლავება, დოკუმენტი აზუსტებს ღონისძიებათა ნუსხას ძალადობისა და ბულინგის პრევენციისთვის. წარმოდგენილია ბულინგის წინააღმდეგ მუშაობის გეგმის ნიმუში და შაბლონი, რასაც გამოიყენებენ კლასის დამრიგებლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ყველა სართულსა და დერეფნებში, არის სადეზინფექციო ხსნარი, სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგინის დაცვას. სკოლას ემსახურება 4 დამლაგებელი. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლაში არსებობს დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი, სადაც გათვალისწინებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და გენერალური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ზედამხედველად განსაზღვრულია სკოლის ექიმი. სკოლამ ასევე წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, სადაც გათვალისწინებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, სადაც მოცემულია სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა დაინტერესებულია დაიცვას პერსონალური მონაცემები, როგორც მონაცემთა საერთაშორისო სტანდარტების, ისე ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. წარმოდგენილია მონაცემთა დაცვის პრინციპები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, მონაცემების დაცვა შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ბაზის წარმოებისას, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა დაცვის მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს დირექტორის მოადგილე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ საჯარო განხილვა/გავრცელება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება სკოლის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახში და სამასწავლებლოში. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეოკონტროლის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სკოლის შენობის შესასვლელსა და ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში; მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს. თანამშრომლის პირადი საქმის წარმოებისას მუშავდება მასწავლებელეთა/თანამშრომელთა შემდეგი პერსონალური მონაცემები: დასაქმებულის სახელი, გვარი, ფოტო, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო ადგილის/ადგილების შესახებ, ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნასამართლეობის შესახებ, ინფორმაცია მასწავლებლის სტატუსის შესახებ, ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე. სკოლაში არის უწყვეტი WIFI ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. ყოველი წლის ბოლოს, დეკემბერში, სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ, უსაფრთხოების საკითხები ასევე განიხილება მრჩეველთა საბჭოზე. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-45 29.09.2021);
- პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სიტუაციების მართვის გეგმა;
- მიწერილობის დოკუმენტი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;
- რეფერირების ბრძანება და დოკუმენტი;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხიმგებელი პირის ბრძანება;
- სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი;
- ვიზიტორთა სარეგისტრაციო წიგნი;
- ექიმის ჟურნალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში და სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პრეზენტაცია უსაფრთხოების დაცვაზე;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- მშობელთა თანხმობის ფორმა;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.
- სკოლის შესაბამისობის გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის წერილი MES 7 23 0001350189-11/10/2023;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA62301998658-12/07/2023 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით.
- ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტში, ქალაქ საჩხერეში, თამარ მეფის №11, ს/კ 35.01.45.461, 12178.00 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლას აქვს:
   - N01 შენობა, რომლის საერთო ფართობია 3953,47 კვ.მ,
   - N02 ნაგებობა 1299,55 კვ.მ,
   - N03 ნაგებობა 1317,34 კვ.მ,
   - N04 – 10,36 კვ.მ (დარაჯის ოთხი ეზოს შესასვლელში),
   - N05- 32.24 კვ.მ (ელექტრო ჯიხური),
   - N06 - 47.48 კვ.მ (საქვაბე),
   - N07 - 228.89 კვ.მ (დიდი სპორტული დარბაზი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე 2015 წლიდან.

სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). 2023 წლის 14 ივნისს სკოლამ, წარადგინა წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

სკოლის პირველ სართულზე განლაგებულია:

- მცირე სპორტული დარბაზი;
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 6-6 სვ. წერტილით სხვადასხვა მხარეს;
- ადაპტირებული საპირფარეშო (თუმცა, შესაბამისი კონსტრუქცია არ არის დამონტაჟებული);
- საპირფარეშო პერსონალისთვის;
- რესურსოთახი (3 კომპიუტერით);
- ექიმის ოთახი;
- მომავლის(ჯეოსელის) საკლასო ოთახი 14 კომპიუტერით, „ციფრული, სენსორული ეკრანით“;
- 7 საკლასო ოთახი;
- სკოლის ცენტრალური შესასვლელი, მეორე შენობის შესასვლელი და დერეფნები;
- სააქტო დარბაზი სრული აღჭურვილობით: ფორტეპიანოთი, აუდიო სისტემით, ხმის გამაძლიერებელი სისტემით,
- ჭრა-კერვის ოთახი აღჭურვილი 3 საკერავი მანქანით;
- დარაჯის ოთახი;
- გაიჯარებული ფართები (ბუფეტი, პროფკავშირი, ხატვა, ჭადრაკი, გახანგრძლივებული სწვლება, ცეკვის)

მეორე სართულზე განლაგებულია:

- დირექტორის კაბინეტი;
- საქმისმწარმოებლის ოთახი;
- ბუღალტერია;
- სამასწავლებლო;
- მანდატურის ოთახი;
- ბიბლიოთეკა სამკითხველოთი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- რელიგიის კაბინეტი;
- დიდი სპორტული დარბაზი;
- ვაჟებისა და გოგონების გასახდელი ოთახები;
- სამასწავლებლო,
- დირექტორის მოადგილის კაბინეტი;
- 11 საკლასო ოთახი,
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 6-6 სველი წერტილით,
- პერსონალის საპირფარეშოები,

მესამე სართულზე განლაგებულია:

- 12 საკლასო ოთახი;
- ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები ლაბორატორიებით, სველი წერტილებით;
- კომპიუტერული ლაბორატორია 10 ქსელში ჩართული კომპიუტერით, პროექტორით;
- მოძრავი კომპიუტერული ლაბორატორია 32 ლეპტოპით;
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 3-3 სველი წერტილით,

საყურადღებოა სკოლის მეორე სართულზე არსებული დიდი სპორტული დარბაზის მდგომარეობა. მიმდინარე წელს ხშირი ნალექიანი ამინდების გამო მოხდა კონდენსაცია, დარბაზის კედლების ზედაპირი დაზიანდა და გავრცელდა ობის სოკო, რომელიც სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, იგი იწვევს ასთმის განვითარებას და ალერგიას. დარბაზში არ არის დამონტაჟებული სავენტილაციო სისტემა. 2023 წლის 30 მაისს სკოლამ გაგზავნა წერილი MES 0 23 0000619013 - 30/05/2023 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და ითხოვა დახმარება დარბაზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი კალათბურთის ფარებით და სარეკრეაციო ზონები. სკოლის უკანა ეზოში გაკეთებულია როსტომ წერეთლის სახელობის ჭადრაკის მოედანი. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით. ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ცენტრალური ქუჩის მხარეს არსებული ღობის რეაბილიტაცია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საკლასო ოთახებში სასკოლო მერხების საერთო რაოდენობა მიღება-ჩაბარებით შეადგენს 740 ერთეულს (სულ 840-ს). ვიზუალური დათვალიერებისას ყველა საკლასო ოთახში იყო განლაგებული კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები.

სკოლას მესამე სართულზე აქვს ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. თითეულს გააჩნია ერთი სველი წერტილი. აღჭურვილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარითა და რესურსებით. ***ქიმიის ლაბორატორიას არ აქვთ გამწოვი კარადა.***

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 800 მოსწავლეზე.

<u>სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნას მოპოვებს 2024 წლის 15 თებერვლამდე. ამავე გეგმაში მოცემულია, რომ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერის შემთხვევაში, სკოლა განახორციელებს შიდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაციასა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟებას 2024 წლის 30 მაისამდე. სკოლის ადმინისტრაციამ 2023 წლის 11 ოქტომბერს კიდევ გაგზავნა წერილი ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მხარდაჭერის თხოვნით.</u>

ინდიკატორი მეტწილად შეესებამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ისტ ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 10 კომპიუტერი და პროექტორი, მოძრავი ლაბორატორია 32 ლეპტოპით, ასევე მომავლის კლასი 14 კომპიუტერითა და ჭკვიანი დაფით. სკოლას აქვს 7 პროექტორი, რომელიც ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის, დირექტორის მოადგილის, რესურსოთახის, მანდატურების კაბინეტებში განთავსებულია საჭირო ტექნიკა: კომპიუტერი, პრინტერი/სკანერი. ყველა საკლასო ოთახში დაფა, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

   სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სულ 2125 წიგნი, მათ შორის 750 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ბიბლიოთეკაში წიგნები აღრიცხულია ელექტრონულ ბაზაში (Excel), წიგნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს დებულება და ფუნქციონირებს დებულების შესაბამისად.

სკოლაში არის კეთილმოწყობილი, ადაპტირებული სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, დიდი და პატარა სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედანი, მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი სივრცეა სასადილო ოთახსა და ფოიეებში, სკოლას აქვს რეკრეაციული სივრცე ეზოში, ჭადრაკის მოედანი. აღნიშნული სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის პირველ სართულზე. პირველ სართულზეა განლაგებული ექიმის ოთახი, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, მომავლის კლასი, ადაპტირებული სველი წერტილი, ბუფეტი. სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი პანდუსებითაა. თუმცა, მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა, ხოლო მესამეზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ისტ ლაბორატორია. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. სკოლას ემსახურება 3 სპეც. მასწავლებელი და 1 სპეც. ასისტენტი.

ყველა საკლასო ოთახი დანომრილია. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აბრები, ასევე საპირფარეშების ნიშნულები.

სკოლაში არ არის დამონტაჟებული შიდა პანდუსები, ან ლიფტი, რათა საჭიროების შემთხვევაში შშმ მოსწავლემ შეძლოს გადაადგილება და იყოს მისთვის ხელმისაწვდომი მეორე და მესამე სართულზე არსებული სივრცეები.

სკოლის პირველ სართულზე არსებული ადაპტირებული საპირფარეშო სტანდარტული სველი წერტილია და არ არის დამონტაჟებული შესაბამისი კონსტრუქცია შშმ პირისთვის.

<u>სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა და ლიფტების დამონტაჟება განხორციელდება 2024 წლის 30 მაისამდე. სკოლის ადმინისტრაციამ 2023 წლის 11 ოქტომბერს გაგზავნა წერილი ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მხარდაჭერის თხოვნით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველჰყოს შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი და შიდა სპორტული დარბაზები, ეზოში ღია სპორტული მოედანი, ჭადრაკის მოედანი, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, ჭკვიანი დაფა, ჭადრაკის დაფები, მაგნიტური დაფები, პროექტორები, სპორტული ინვენტარი, 2 კომპიუტერული ლაბორატორია და WIFI ინტერნეტი, ასევე სახარჯი საკანცელარიო მასალები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მასწავლებლების მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის მეთოდურ-საგნმანათლებლო რესურსები კითხვის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და სხვა საგნების ფარგლებში.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024)პროექტი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;
- წერილი სპორტდარბაზის შესახებ MES 0 23 0000619013 - 30/05/2023;
- შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ წერილი MES 3 23 0000690666 - 14/06/2023;
- მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ბიბლიოთეკის დებულება;
- გრიფირებული სახელმძღვანელოები;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება ბიბლიოთეკართან.
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის წერილი MES 7 23 0001350189-11/10/2023;
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციის, კანცელარიის, სამასწავლებლოს, მანდატურის, რესურსოთახის სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები, სკანერები. სკოლის სრული შიდა სივრცე WIFI ინტერნეტწვდომის საშუალებას იძლევა. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, სადაც აღწერილი აქვს სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა. სკოლას გააჩნია მომუშავე 50 კომპიუტერი, 7 პრინტერი, 7 პროექტორი. სიახლეები მუდმივად თავსდება სკოლის Facebook გვერდზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. შექმნილია სკოლის მოსწავლეთა საერთო facebook-ის და Temas-ის ჯგუფები. სკოლა იყენებს facebook-ის, Temas-ის პლატფორმას მასწავლებლებსა და ადმინსტრაციას შორის სწრაფი კომუნიკაციისათვის. მშობელს შეუძლია მიმართოს ან გაუგზავნოს შეკითხვა სკოლას ოფიციალურ მეილზე: Sachkhere1@mes.gov.ge. სკოლა უპასუხებს ყველა შეტყობინებას 9.00-18.00 სამუშაო საათების განმავლობაში, რაზეც პასუხისმგებელი პირი იქნება დირექტორის მოადგილე. სკოლა გეგმავს ინტერნეტში განათავსოს სკოლის ბიბლიოთეკის კატალოგი და მოიზიდოს ელექტრონული წიგნები, იგეგმება არქივის გაციფრულება. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან ონლაინ და ოფლაინ აპლიკაციებს სასწავლო პროცესში, ქმნიან ციფრულ რესურსებს, იყენებენ ციფრულ რესურსებს მოსწავლეთა შეფასებისთვისაც.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილ საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 10 მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერი. შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი. სკოლას აქვს მოძრავი კომპიუტარული ლაბორატორია, რისი გადადგილებაც მარტივი და მოქნილია. მოსწავლეები შეძლებენ ლაბორატორიის გამოყენებას ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 14:00-16:30 საათის პერიოდში პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით. გამოყოფილია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი იქნება სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. მასწავლებლებისთვის საზიარო სამუშაო სივრცე მოეწყობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში. ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახები. ადმინისტრაცია სარგებლობს საკაბელო ინტერნეტითაც. სკოლა თანამშრომლობს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან და სკოლის ბიოლოგიის კაბინეტს გადაეცა 2 ლეფთოფ კომპიუტერი და ერთი პროექტორი, ასევე donors. Edu. Ge - ს პლატფორმის დახმარებით სკოლას მათემატიკის კლუბის ფუნქციონირებისთვის გადაეცა ერთი პროექტორი. გარდა ამისა, Unisef-თან თანამშრომლობით სკოლას სამოქალაქო კლუბისთვის გადმოეცა კომპიუტერი და პროექტორი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი (საგ. რესურსები);
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ;
- ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth
- სკოლის სოც. გვერდი: https://bit.ly/44f3fsg
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი სისტემა. სკოლას განსაზღვრული საქმისწარმოების დებულება. ის არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. დებულების მიზანია სკოლაში დოკუმენტაციისა და დოკუმენტბრუნვის სრულყოფა, ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამდეროვე მიღწევების გამოყენება/დანერგვა. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ძირეულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმეთამმართველი. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე:

   ა) შემოსული დოკუმენტაცია;

   ბ) გასული დოკუმენტაცია;

   გ) შიდა დოკუმენტაცია.

მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. ბრძანებები შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საკადრო ბრძანებები და საერთო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები, რომელთა რეგისტრაციაში გატარებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი ცალცალკე ჟურნალში. საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებები ნებისმიერ საკითხზე (გარდა საკადრო ხასიათის ბრძანებებისა) ბრძანებების ნომრის მინიჭება ხდება შემდეგი წესით, ჯერ მიეთითება ჟურნალის ნომერი, შემდეგ ტირე და რიგითი ნომერი, მაგ; 2-01. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებები სკოლაში საკადრო საკითხებთან დაკავშირებით (თანამშრომელთა გადადგილება; გათავისუფლება, მივლინება, შვებულება, წახალისება; საყვედური; შრომითი ურთიერთობების შეჩერება, დროებით შეჩერებული შრომითი ურთერთბის განახლება) მაგ.: 1/კ-01.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის შრომითი ხელშეკრულებები აღირიცხოს სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ელექტრონული ფოსტა Sachkhere1@mes.gov.ge. სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის საქმისწარმოების დებულება - დამტკ. #2-120, 22.06.2023;**
- **eflow და eschool ციფრული პლატფორმები;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშები საქ. საკანონმდებლო მაცნეს, პრეზიდენტს, პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს;**
- **ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, საკომუნიკაციო არხებზე განთვსებაზე, სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;**
- **საკადრო ბრძანებების ჟურნალი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- გასაუბრება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას Sachkhere1@mes.gov.ge teams-ის პლატფორმას, facebook-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebook-ის გვერდი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია...).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა საჯარო დანიშნულების ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებს აღნიშნულს. შემუშავებულია მშობლის ინფორმირების წესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც განსაზღვრულია, რომ პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღწერილია შიდა და გარე საკომუნიკაციო მექანიზმები. სკოლა ასევე იყენებს სოციალურ გვერდს საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად.

4. **სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი,** რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის. ამასთან დაკავშირებით, სკოლამ მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. 2023 წლის 15 მაისს სკოლაში მივიდა წერილის ამგვარი პასუხი: „სკოლების ავტორიზაციის მიზნებისთვის მიმდინარეობს ვებ გვერდის შექმნა, სადაც შეძლებთ სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსებას. პორტალის გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემა დაიწყება 30 ივნისიდან“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის ვებ-გვერდის შექმნისას გაითავალისწინებენ ყველა სავალდებულო ველის გააქტიურებას და შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესში ფორმულირებულია სტრუქტურა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ტიპები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, საკომუნიკაციო არხებზე განთვსებაზე, სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- მშობელთა ინფორმირების წესი;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ვებ-გვერდთან დაკავშირებული პასუხი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, საინფორმაციო მენეჯერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ვაუჩერული დაფინანსების გარდა იღებს ეკონომიკურ შემოსავლებს გაიჯარებული ფართებიდან. კანონმდებლობის შესაბამისად გაიჯარებულია ფართები მასწ. პროფკავშირის, ხატვის, გახანგრძლივებული ჯგუფის, ჭადრაკის, ცეკვების, ბუფეტის, სპორტული წრისთვის. სკოლის ფინანსები უზრუნველყოფს ყველანაირ კომუნალურ ხარჯს: ელექტროენერგიის, გაზმომარაგების, წყლის მოწოდების, დასუფთავების, დაცვის და სხვა ხარჯებს. წლის ბიუჯეტი იხარჯება რაციონალურად და შემლებისდაგვარად პასუხობს სკოლის მოთხოვნებს. სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა დირექტორის ანგარიში, სადაც აღწერილია მთელი წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარჯთაღრიცხვა.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას ბაზრის კვლევის საფუძველზე და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან 10 დეკემბერამდე წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლაში ყოველი წლის ბოლოს ტარდება ინვენტარიზაცია, რის ფარგლებშიც ხდება სკოლის მატერიალური რესურსების აღრიცხვა-შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის 2023 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;**
- **ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის ბრძანება #2-140;**
- **ბიუჯეტი 2022;**
- **საჩხერის #1 სკოლის წლიური ბალანსი 2022;**
- **ბიუჯეტი 2023;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში - სამ. საბჭოს ოქმი;**
- **მიღება - ჩაბარების აქტები;**
- **საიჯარო ხელშეკრულებები;**
- **ბაზრის კვლევა;**
- **გასაუბრება ბუღალტერთან, დირექტორთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. <u>მოსწავლეთა მხარდაჭერა</u>

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შინაგანაწესით, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“.
   სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეთესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე. რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია. მოსწავლეთა უფლებების დაცვის სამსახურშია სკოლის დარაჯები, მანდატურის სამსახური და სკოლის თანამშრომლები. სკოლას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ჰყავს გამოყოფილი. რეფერირების მიმართულებას სკოლის მანდატურის სამსახური კურირებს. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამეუვეო საბჭო, სადაც მოსწავლეს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა, სადაც განსაზღვრულია მოსწავლის სკოლაში მიღების წესები და პროცედურები, ქცევის მართვის მეთოდოლოგია, პატივისცემის, პასუხსიმგებლობის, უსაფრთხოების გამოვლენის ნორმები, მედიაცია და მისი რომლი მოსწავლის ქცევის მართვაში.

სასკოლო კურიკულუმის პორექტში გაწერილი პროცედურები მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის შესახებ. მოსწავლე სარგებლობს ყველა პირობით, რომლებიც დადგენილია კანონით, გათვალისწინებულია სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით, რომლის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. სკოლას აქვს აქტიური სოციალური გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში მიდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა.

   სკოლაში პერიოდულად ტარდება ღონისძიებები მოსწავლეთა უფლებებთან დაკავშირებით, გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით თვალსაჩინო ადგილას.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულები, რომელიც თარიღდება 15.09.2022 წლით, სადაც გაწერილია ხელშეკრულების საგანი; ინფორმაცია სკოლის სამიქნობის შესახებ, მხარეთა უფლება-მოვალეობები; სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები; განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა; მოცემული დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. აგრეთვე, წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ, განთავსებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024)პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი თვითმართველობის არჩევნების, შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ, ოქმი დისციპლინარული კომიტეტის შექმნის შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი ბრძ. 1კ-45 29.09.2021
- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-47 29.09.2021);
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N4;
- მშობლებთნ შინაგანაწესის გაცნობის ოქმი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია;
- სკოლის მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის წესი ბრძ. 2-34 15.03.2021,
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციები, ბრძანებით დამტკიცებულია წესი. სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით“, სასკოლო სასწავლო გეგმით და სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის სტატუსის შეჩერება, ჩარიცხვა და შეწყვეტა. წარმოდგენილია მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ბრძანებები და ელექტრონულ სისტემაში(eflow) ასახული ბრძანებები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას, კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარით აქვს გაცემული ფართები, სადაც ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი, რომელშიც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ხატვის, გახანგრძლივებული ჯგუფის, ჭადრაკის, ცეკვების, ბუფეტის, სპორტული წრეები. ხოლო, სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე, ასევე მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. 2023-2024 წელის სასკოლო სასწავლო კურიკულუმის პროექტის მიხედვით, ფასიანი წრეები არ აქვთ გათვალისწინებული. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ორ უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით.

2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს: ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას ტაიკვანდოს უფასო წრის სახით. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამები და აღწერილობა დანართი N7 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბურ მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობას. კლუბი ფუძნდება 1 წლის ვადით, კლუბს უნდა ჰქონდეს სახელწოდება და ლოგო, მისამართი. კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს I-XII კლასის მოსწავლე, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებს:

- ეკოკომიტეტი;
- მეწარმეობის კლუბი;
- ლიტერატურის მკვლევართა კლუბი;
- რობოტიკის კლუბი;
- მკითველთა და საზრიანთა კლუბი;
- წიგნის მოყვარულთა კლუბი;
- ჭრა-კერვის კლუბი;
- ეკოკლუბი;
- მათემატიკის კლუბი;
- მუსიკის კლუბი;
- ფოტოხელოვნების მოყვარულთა კლუბი;
- ღია აუდიტორი (VII_XII კლასი).

მრავალფეროვანი კლუბები საშუალებას იძლევა მოსწავლემ გააკეთოს არჩევანი და თავისი ინტერესების გათვალისწინებით ჩაერთოს კლუბურ მუშაობაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-47 29.09.2021);
- სკოლის მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის წესი ბრძ. 2-34 15.03.2021,
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ყველა ის გარემოება და ფაქტორი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სკოლამ, მშობელმა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეს სკოლასთან ადაპტაციაში, მის სოციალიზაციაში. გარდა დოკუმენტისა, სკოლას აქვს ყველა პირობა, რესურსი იმისათვის, რომ მოსწავლეს თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და მიღებულად. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველი კლასის მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლას შემუშავებული აქვს პირველკლასელთა ტრანზიციის გეგმა, პროცედურები, განსაზღვრულია ტრანზიციის ჯგუფი- კოორდინატორი და წევრები, შემუბულია სამუშაო ფორმები, რითაც იხალმძღვანელებს ჯგუფი. შემუშავებულია კითხვარი, სსსმ მოსწავლის სკოლაში ჩართვასთან დაკავშირებული მიმღები სკოლის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, რათა ამის გათვალისწინებით დაიგეგმოს ბავშვის სკოლაში ადაპტაციისთვის საჭირო ყველა ნაბიჯი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლეთა სასწავლო ადაპტაციისათვის ყველა დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომლიც მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეებზე. სკოლას აქვს მოსწავლის საბავშვო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება, სკოლა ბაღის აღსაზრდელებისთვის მოაწყობს ღონისძიებებს. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველკლასელთა მიღებას და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ დაწყებითი კლასის დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობებით, ცდილობენ შეუმსუბუქონ მეოთხეკლასელებს ემოციური ფონი მე-5 კლასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გადასვლასთან დაკავშირებით. I-IV კლასის მოსწავლეების საკლასო ოთახები განთავსებულია სკოლის შენობის ცალკე კორპუსში, რაც კიდევ ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მოსწავლეთა ადაპტაციისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შედომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. სკოლა ჩართულია გამოცდების ეროვნული ცენტრის პროექტში ,,შეფასება განვითარებისათვის", რაც მოსწავლეთა შეფასების გარე ინსტრუმენტია და მოსწავლეთა შედეგების დეტალურ ინფორმაციას იძლევა, რომელიც მოსწავლის, სკოლისა და მასწავლებლის გარდა, მშობლებისთვისაა ხელმისაწვდომი. მოსწავლეთა სწავლაზე კომენტირების საშუალებას იძლევა ელექტრონული ჟურნალი, რითაც მშობელი იღებს ამომწურავ ინფორმაცია. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა მშობლებთან მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს სმს-ი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა და ამისთვის სკოლა არის ადაპტირებული, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით კურიკულუმები. უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სკოლა მუდმივად მხარს უჭერს მოსწავლეებს და აწვდის ინფორმაციას კანონდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის. მოსწავლეები დროულად იღებენ ინფორმაციას ეროვნული სასწავლო ოლიპიადის ვადების, საგნების მაქსიმალური ქულების შესახებ, წინმსწრები ექსტერნის, საგნისთვის დათმობილი წლიური საათების რაოდენობის 30%-ისა და მეტის გაცდენის გამო ექსტერნის, სემესტრული გამოცდის შესაძლებლობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები სხვადსხვა მიმართულებით. საერთაშორისო ორგანიზაციამ, გარემოსდაცვითი განათლების ფონდმა (FEE), საგანმანათლებლო გრანტების კონკურსი გამოაცხადა წრიული ეკონომიკის პროექტებისთვის და სკოლამ მოიპოვა 500 ევროს ოდენობით გრანტი. სკოლაში დაგეგმილია სასკოლი პროექტები და არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი აქტივობები, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან გასაუბრებით. სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს სკოლის დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი მაკეტები, დიორამები, პოსტერები, კედლის გაზეთები, საინტერესო აღმოჩნდა აკაკი წერეთლის სახლმუზეუმის მაკეტი და სკოლის მაკეტი - „როგორი მინდა იყოს ჩემი სკოლა“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების გამოკითხვის ფორმები. მშობლებთან ურთიერთობის წესში მოცემულია მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის ფორმები - ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე, ელ-ჟურნალის მეშვეობით, სოციალური ქსელით და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს ანონიმური კითხვარები მშობლებისათვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეთათვის, რომლებსაც გამოიყენებენ მომავალი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

წელს სწავლა/სწავლების გასაუმჯობესებლად, სასკოლო პროცესების უკეთ მართვისთვის, პრობლემების გამოვლენისა და მოგვარებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება, ტრანზიციის გეგმის დამტკიცება 2-16/01.03.2023.;
- მიმღები გარემოს შეფასება სსსმ მოსწავლის ტრანზიციისათვის;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://bit.ly/44f3fsg
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (დამტკ. დირექტორის ბრძანებით #1/კ-47 29.09.2021);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია;
- კითხვარები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხშირია სხვადსხვა პრიოფესიის ადამიანთა სტუმრობის ორგანიზება სკოლაში; სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს ტექნოკლუბი, რობოტიკის, მათემატიკის კლუბი. განხორციელდება ვიზიტები ტექნოპარკში, მოსწავლეები დაეუფლებიან პროგრამირებას, ტექნოლოგიების მასწავლებელი კი მუნიციპალიუტეტის სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უზიარებს გამოცდილებას. სკოლაში ფუნქციონირებს ჭრა-კერვის კლუბი, სადაც მოსწავლეები დაეუფლებიან კერვის, მოდელირების ტექნიკას.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა ინტენსიურად აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა, როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი სასწავლებლებიდან წარმომადგენლების ვიზიტი. სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს გათვალიწინებული აქვს გააგრძელოს ასეთი ტიპის შეხვედრები, მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. უმნიშვნელოვანესია სადამრიგებლო საათის როლი და დამრიგებლის მუშაობა ამ მიმართულებით.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია, რომ მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ასევე, გარე დაინტერესებული მხარეების, კურსდამთავრებულების და მთლიანად თემის. შეფასება უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი მხარისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://bit.ly/44f3fsg
- საგნობრივი კურიკულუმები;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები. არსებობს ინკლუზიური განათლების განვითარების გეგმა, მშობელთა განცხადებები, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები, ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, ისგ გეგმები, სსსმ მოსწავლეთა რესურს ოთახით სარგებლობის განრიგები. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლეთათვის და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამუშავების ეტაპები. სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესები. ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს და აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერისთვის ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები: სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები, ძლიერ მხარეზე დაყრდნობით, შემუშავებული და შექმნილია ისგ გეგმები. პერიოდულად მიმდინარეობს ისგ ჯგუფების შეხვედრები და გეგმების შუალედური მონიტორინგი და შეფასება. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ კუთხით. ყოველ წელს ხდება რესურსოთახის გამდიდრება სსსმ პირების საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა რესურესებით. ასევე, სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, საკლასო ოთახში ხდება სპეცმასწავლებლების ჩართულობა. სკოლას გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე და მხარდამჭერ ღონისძიებებში სსსმ მოსწავლთა ჩართულობაზე მათი განვითარებისა და წინსვლისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეც. მასწავლებლების ჩართულობა, რომელიც სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გარდა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასაც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას, რესურსოთახში წარმოდგენილი იყო მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმილი რესურსები, მოსწავლის პორტფოილიები განხორციელებული აქტივობებით. სპე. მასწავლებლის პორტფოლიოები დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით, მტკიცებულე ბებით. რესურსოთახის ეფექტიანი ფუნქციონირება კვალიფიციური სპეც. მასწავლებლების დამსახურებაა, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლბთან და ერთობლივად აძლიერებენ ინკლუზიური განათლებას სასკოლო დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად მონაწილეობენ კონფერენციებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეხვედრებში. აქტიურად უზიარებენ საკუთარ გამოცდილებებს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სხვა სკოლებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები, ისგ გეგმები;
- სპეც. მასწავლებლის პორტფოლიოები;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დანიშვნის ბრძანება;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- მშობელთან-შეხვედრის-განრიგი;
- სპეც. მასწავლებლეთა ანგარიშები;
- ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, სპეცმასწავლებლებთან,

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, კანონის დაცვით, იჯარით აქვს გაცემული ფართები ხატვის, გახანგრძლივებული ჯგუფის, ჭადრაკის, ცეკვების, ბუფეტის, სპორტული წრისთვის.
   2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას ტაიკვანდოს უფასო წრის სახით. აღნიშნული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამა და აღწერილობა დანართი N7 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. ტაიკვანდო არის ოლიმპიური სპორტის სახეობა, რომელიც სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში. სპორტის ამ სახეობას სჭირდება მუდმივი ინტენსიური ვარჯიში, რომ მოზარდმა შეითვისოს ეს სახეობა, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა და მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას. მოზარდმა უნდა გააცნობიეროს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დასაცავად აუცილებელია შემდეგი:

   - ფიზიკური განათლება და სპორტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სამართლიანი ვარჯიშის პრინციპის იდეა;
- ტაიკვანდოს ოსტატობის დაუფლება;
- აქტიური შრომა და დასვენება;
- რაციონალური კვება;
- პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა;
- მავნე ჩვევებზე უარის თქმა;
- ადამიანებთან ურთიერთობა, თანაცხოვრების პრინციპების დაცვა, უმწეოთა მიმართ თანაგრძნობა.

სპორტს, როგორც სასწავლო დისციპლინას, თავისი სპეციფიკა გააჩნია სკოლის სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე. ტაიკვანდოს წრეზე მწვრთნელი მოსწავლეს ფიზიკურ მომზადებასთან ერთად მოსწავლეს მიაწვდის თეორიულ ცოდნას ჯანმრთელი ცხოვრების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. იჯარის ხელშეკრულებების გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ არ არის მითითებული მოიჯარის მიერ ფართის გამოყენების ზუსტი საათები, მხოლოდ მითითებულია დღეები.

რჩევა: სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით, საჭიროა ხელშეკრულებებში ზუსტად განისაზღვროს საათები არასასწავლო დროის მონაკვეთში. კონკრეტულად მიეთითოს, თუ რა პერიოდში მოხდება ფართების გამოყენება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ➢ ხელშეკრულებები გაიჯარებული ფართების შესახებ;
- ➢ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **დანართი N7 - ტაიკვანდოს წრის პროგრამა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიაში ასახულია კურუკულუმის შემადგენელ ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, კათედრები, მოსწავლეები, მშობლები და სკოლის დირექცია) როლი და მნიშვნელობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე, დოკუმენტში მოცემულია კურუკულუმის შემუშავების გზები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია, მისია, ხედვა, ღირებულებები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის მეთოდოლოგიაში განხილულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, ვადების, დანერგვისა და დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზები. კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე. კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

- შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას (უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას);
- სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

  კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.

  სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

  ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასკოლო კურიკულუმის პროექტი (2023-2024) გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმის შემუშავება **დაწყებით საფეხურზე** ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმის შედგენის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და თვისობრივ თავისებურებებს, ცოდნას, ინტერესების სფეროს, გამოცდილებას, ასევე, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებულ რეფლექსიებს, მიგნებებს. სასკოლო კურიკულუმი 2023 წლის სექტემბერში შეთანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის ფორმა. სასკოლო კურიკულუმი წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი.

   საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.

   კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველჰყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი **საფეხურის კურიკულუმები** წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების ჩარჩოებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, მის შემოქმედებით მუშაობას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებისა თუ სასკოლო პროექტის დაგეგმვისას აუცილებლად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, შერჩეული სასწავლო თემებისა და საკითხების აქტუალობას, რაც მათივე აზრით, აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლე აქტიურ როლს ასრულებდეს სასწავლო პროცესში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია პროექტული სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი კომპლექსური დავალებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეები აქტიურად ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **რჩევა: კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებში სასწავლო რესურსების ბმულები იყოს აქტიური, რათა მათზე დაწკაპებით შესაძლებელი იყოს რესურსზე გადასვლა. კომპლექსური დავალების პირობები ჩამოყალიბდეს ნათლად და მკაფიოდ, გაიწეროს მისი ეტაპები დეტალურად, აგრეთვე, რიგ შემთხვევებში მოძიებული/შექნილი იქნას ერთზე მეტი კონტექსტმაგალითი.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **დაწყებითი საფეხურის** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. გად ამისა, ამას ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და როგორც პირისპირ მასწავლებლები აღნიშნავდნენ ეს ყველაფერი დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. მნიშვნელოვანია ის რომ მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ დიფერენცირებული სწავლების არსს, ინტერვიუზე მასწავლებელმა მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ ახდენს დავალების ადაპტაციას სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებისთვის. სკოლაში არის სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების რეგულაცია. მასწავლებლები ხელმძღვანელობენ ინდ. სასწავლო გეგმებით სსსმ მოსწავლეებთან. სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა ჩართულობით. კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები, კონტექსტმაგალითები და დავალებები არის მრავალფეროვანი (მასწავლებელებს მითითებული აქვთ როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ფილმები, მხიარული სასწავლო ნივთები-თითების თოჯინები, მაორგანიზებელი ცხრილები, ბარათები, საყრდენები, ნიმუშები მოსწავლეებისთვის), რაც მოსწავლეეს აძლევს საშუალებას გამოავლინოს თავისი ინტერესები და შესაძლებელობები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; **დაწყებით საფეხურზე** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასებში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. მაგ: მე-5 კლასის ბუნების კომპლექსური დავალება, როდესაც მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ორი ცხოველი, ცივსისხლიანი და თბილსისხლიანი, გააფერასდოს მისი კონტურები და წარადგინოს კლასის წინაშე შესაძლებლობას იძლევა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო მიზნებს. შეფასების კრიტერიუმების ჩარჩო მორგებულია მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებს. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ექსპერიმენტის). პირველი, მეორე კლასისთვის წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროების გათვალისწინებას, სასწავლო პროცესს ხდის მეტად სახალისოსა და საინტერესოს. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა იყენებს როგორც მოსწავლეების მიერ თვითშეფასებას ისე ურთიერთშეფასებასაც. ამდენად, შეფასების პროცესში ჩართულნი არიან თავად მოსწავლეებიც, აფასებენ როგორც ერთმანეთის მუშაობას, ისე საკუთარ ნაშრომს და გასცემენ რჩევებს/რეკომენდაციებს.

რჩევა: ტექნოლოგიებში სასურველია, ყველა შევსებულ კურიკულუმის ჩარჩოს მომდევნო ეტაპზე დაერთოს შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, ინსტრუმენტები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მაგ: მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი ამა თუ იმ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ე.წ. ,,სამდონიანი შეფასება''.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, ნაცნობიდან უცნობისაკენ მიმართება, რაც ასახულია კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, შედეგები წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;
- სსსმ მოსწავლის პორტფოლიო;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები (კურიკულუმი, განხორიელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცეში გამოყენებული მალები/აქტივობები, მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე) გვიჩვენებს, რომ სკოლის სასწავლლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. დაწყებითი საფეხურის კეთედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლების მიდგომებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილია კომპლექსურ/ ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მაგალითად, სახელმწიფო ენის მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ისეთი დავალებები, როგორიცაა იგავის დაწერა, მოთხრობის წინარე და ფინალური ეპიზოდების შექმნა, წერილის დაწერა, პროექტი, გაზეთის, ბუკლეტის შექმნა, გამოფენა, რაც მოსწავლის შემოქმედებითობას და სასწავლო პროცესში ჩართულობას შეუწყობს ხელს. სპორტში გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები. საინტერესოა მეორე კლასის მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალება ,,მასწავლებლობანა“, სადაც კარგად სჩანს თუ როგორ უნდა იმუშაოს მასწავლებელმა რომ თემით - რიცხვები 100 ფარგლებში, მიაღწიოს სასურველ შედეგს. გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების კუთხით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. 2023-2024 სასკოლო კურიკულუმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს გათვალისიწინებულია თვითშეფასების კითხვარები, შესასვლელი-გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირებები და მისი ანალიზი, შეკითხვების დასმა, გრაფიკული დიაგრამები. ბუნებისმეტყველებაში დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილია ყველა თემა, საკითხთა ტიპოლოგია, ქვესაკითხები. ჩანს სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე.
მაგ, ტექნოლოგიებში, მე-2 კლასში საკითხთა შესწავლა იწყება პირობითი ნიშნების შესწავლა-შემუშავებითა და მათ საშუალებით ინფორმაციის გადაცემით, ეს ისეთი საკითხია, რომელის საფუძველს უყრის მე-2 კლასის კურიკულუმში მომდევნო ეტაპზე გაწერილ საკითს - ვიზუალურ პროგრამირებას, ეს ნიუანსი გათვალისწინებული ყველა კლასის კურიკულუმში. საკითხთა ლოგიკური მიმდევრობა და მასწავლებელთან გასაუბრება (მან აღნიშნა, რომ კურკულუმის შემუშავებისას ერთ-ერთი უმთავრესი რასაც, დაეყრდნო, არის მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებას) იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
გასაუბრების ეტაპზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს ე.წ თემის საკვანძო შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც, როგორც თავად აღნიშნეს, ეხმარებიან მოსწავლეს, აზროვნება წარმართოს თემაზე სამსჯელოდ. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლა **დაწყებით საფეხურზე** მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ **დაწყებით საფეხურზე** სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების დაუფლებაზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრის წევრებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა. კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც. გასაუბრების დროს დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე როგორ შეუწყვეს ხელი მოსწავლის მხრიდან სასწავლო სტრატეგიების გაცნობიერებას, საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარის გამომუშავებას. სპორტში მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პირობისეულსაც. საგნის ფარგლებში დაგეგმილი დავალებები, მიმდინარე საკლასო, საწრეო თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შემაჯამებელ დავალებებად გამოყენებულია კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რაც დასტურდება ვიზიტის დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებში, პორტფოლიოებში. კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. კურიკულუმებზე და კომპლექსური დავალებების ბარათებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგალითად, ბუნებისმტეყველების ფარგლებში მასწავლებელთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ არსებობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, კერძოდ, ბუნებისმეტყველების ინტეგრირება კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, ქართულთან, მათემატიკასთან. როგორც ინტერვიუს დროს გააჟღერდა, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სხვა კათედრების წარმომადგენლებთანაც. მაგალითად, პროგრამაში ,,ვსწავლობთ თამაშით'' მოსწავლეები აწყობენ ქართული ტექსტების ეპიზოდურ ილუსტრაციებს, ქმნიან კომიქსებს, სხვადასხვა საგნებში აკეთებენ ელ. პრეზენტაციებს და ა.შ.
   კომპლექსური დავალების შესრულება თავისთავად გულისხმობს, რომ მოსწავლეს შეუძლია მიღებული ცოდნა გადმოიტანოს ყოფაცხოვრებაში და გააკეთოს დასკვნები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;**
- **საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- თვითშეფასების ფორმები მოსწავლეებისთვის;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწყებითი საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასკოლო კურიკულუმის პროექტი მომავალი წლის პრიორიტეტად ისახავს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიულ განვითარებას, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. კათედრის მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტებიც სწორედ ამ საკითხს ეხმიანება. საგნობრივ კურიკულუმში შესასწავლი თემებთან მიმართებაში გაწერილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს, რითაც აძლევენ მოსწავლეს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე-ტექსტების, ფილმების მიმოხილვაზე. კათედრა გამოხატავს მზაობას იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. **დაწყებით საფეხურზე** კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებენ (I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება) შეფასების ორივე ფორმას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით. ასევე წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებიც. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რამოდენიმე შეფასების რუბრიკა ეფუძნება სოლო ტაქსონომიას. ამასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა შეფასების სისტემის დახვეწისა და მკაფიოობის ხელშესაწყობად. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასკოლო სასწავლო გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. სასკოლო კურიკულუმის პროექტის თანახმად, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს. ეტაპობრივად მუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში განმავითარებელი კომენტარებით და უკუკავშირებით, რომლებითაც დასტურდება რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ, უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი გამოყენება საკუთარი პროგრესისთვის. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას, რამოდენიმე საკლასო ოთახში ფიქსირდებოდა შეფასების რუბრიკები, მაგალითად, გაწაფული კითხვის, პრეზენტაციის. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (სოლო ტაქსონომიის მიხედვით) სანდოობის საფუძველს იძლევა, თუმცა სკოლამ უნდა იმუშაოს შეფასების ერთიანი სისტემის, მისი სანდოობის, ვალიდურობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხისათვის, რისი მზაობაც დაადასტურეს მასწავლებლებმა. მომდევნო ეტაპზე მოხდება შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და დახვეწა. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. სკოლის ვერიფიკაციიის მექანიზმი ერთ დოკუმენტად არ არის გაწერილი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდოლოგია და დოკუმენტები ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს, შეფასების პროცესის, მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების პროცედურებს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას, ინსტრუმენტების შექმნასა და მოსწავლის შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლის შეფასების პროცესების დაკვირვების შედეგად მოხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. მიმდინარე ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რითაც განისაზღვრა სკოლაში შეფასების ვერიფიკაციის სქემა. სქემაში წარმოდგენილია კომპონენტები და შეფასების გრადაცია კომპონენტების მიხედვით, რეფლექსიური ველი. მოიცავს ხუთ კომპონენტს: შეფასება, სასწავლო პროცესი, სასწავლო რესურსები, სასწავლო გარემო, მტკიცებულებები. იმისათვის, რომ განხორციელდეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება, სკოლა ირჩევს პირველ ინსტრუმენტს - პარალელურ კლასებთან მომუშავე მასწავლებლები ერთი საგნობრივი პროგრამის ფარგლებში თანხმდებიან დათქმულ დროს (მაგალითად, სექტემბრში, აპრილის თვეში და ივნისში) პარალელურ რეჟიმში განახორციელონ იდენტური კომპლექსური დავალებები და რამდენიმე (მაგალითად, სიის მიხედვით ყოველი მეხუთე ბავშვის) მოცემულობა დეტალურად აღწერონ დამხმარე ფორმის გამოყენებით. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. მასწავლებლები ამზადებენ ანგარიშს ამ ფორმის გამოყენებით. იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის სკოლის დირექციის წარმომადგენელი და რამდენიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედაგოგი. ჯგუფის წარმომადგენლები ეცნობიან ანგარიშის შევსებულ ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს. დაკვირვების შედეგებით ხდება პრობლემების იდენტიფიცირება. დასკვნების განზოგადება ხდება კათედრის დონეზე. თუმცა, თუკი დიაგნოსტირება ჩატარდება პარალელურად ხუთ საგანში, მაშინ პროცესები შესაძლოა სკოლის დონეზეც გაანალიზდეს. ასეთ შემთვევაში საჭირო იქნება კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სხვადასხვა საგანში გამოკვეთილ ტენდენციებს შეაჯერებს. პროცესისთვის საკვანძო ელემენტია განმავითარებელი შეფასება, რომელიც გადაჯაჭვულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესთან.

სკოლაში ამ ეტაპზე ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი დოკუმენტირებული არაა. არ არის წარმოდგენილი მკაფიო რეგულაციები, თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა შეფასების სისტემის ხარისხიანობის განვითარებას. არ ჩანს, თუ როგორ გეგმავს სკოლა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. სკოლა გამოხატავს მზაობას, შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტირებული ფორმა მომავალი სასწავლო წლისთვის.

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (რაც გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმაშიც) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 11 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით #2-157 დამტკიცებულია ვერიფიკაციის დოკუმენტი. გაწერილია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, ვერიფიკაციის პრინციპები, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის პროცესი, ფოკუსი, ვერიფიკაციის ანგარიში და შედეგები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრეფა და ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმის დანართები;
- თვითშეფასების ფორმები მოსწავლეებისთვის;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექტორი, როგორც ლიდერი, თავად არის მოდელი. ის ღიაა სასკოლო საზოგადოების მიმართ. სკოლაში გაზიარებულია ლიდერობა. შექმნილია რევიზიის ჯგუფი მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. დაწყებით საფეხურზე (V კლასში) მეორე უცხოური ენის არჩევა, განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებელი, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორი, ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნის გზით, არამედ, მოსწვალეთა კომპეტენციებით, მათი კომპონენტური ფუნქციური უნარების და საკვანძო იდეების სიღმისეული გააზრების პროგრესის საშუალებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. მაგალითად, ლიდერი მასწავლებლები USAID -ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ შეხვედრებს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს ეფექტიანად გამოყენებული სასწავლო სტრატეგიების, დიფერენცირებული სწავლების მიდგომების, განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგიის და სხვადასხვა რესურსების გამოყენების მეშვეობით, რომ პროცესი ეფუძნებოდეს თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა, მოლაპარაკე კედლები საკლასო ოთხებსა და დერეფნებში. მაგალითად, დაწყებით კლასებში ოთახები გაფორმებულია მიმზიდველი და სასიამოვნო ილუსტრაციებით, თვალსაჩინოებით, სასწავლო მასალებით. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- სასკოლო პროექტის პორტფოლიო;
- კათედრის ოქმები;
- სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესის შედეგი. მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია, რაც გათვალისწინებულია სკოლის კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში. მეთოდოლოგიური ჩარჩო ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

შესაბამისად, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. წარმოდგენილის გასული 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში კათედრების მუშაობის სემესტრული/წლიური ანგარიშები, დირექტორის, მოადგილის, დამრიგებლის, მასწავლებლების ანგარიშები, რასაც ასევე დიდ როლი ენიჭება სასკოლო შეფასებასა და კურიკულუმის განვითარებაში.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის **დაწყებითი საფეხურის** კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ **დაწყებით საფეხურზე** კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კითხვარები (მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის);
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა ითვალისწინებს, რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ და დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ, ახალი კურიკულუმის შედგენისას სკოლა გაითვალისწინებს იმ პრობლემებს, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და სასკოლო კურიკულუმში ასახავს პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კათედრების ფუნქციებია საგნობრივი ჯგუფის საგნის სწავლების კოორდინირება, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., დაწყებითი საფეხურისა და მათემატიკის კათედრების საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.). შესაბამისად, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი და სასკოლო საზოგადოების ყველა ის წევრი, რომელსაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიაში ასახულია კურუკულუმის შემადგენელ ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, კათედრები, მოსწავლეები, მშობლები და სკოლის დირექცია) როლი და მნიშვნელობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე, დოკუმენტში მოცემულია კურუკულუმის შემუშავების გზები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია, მისია, ხედვა, ღირებულებები);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის მეთოდოლოგიაში განხილულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, ვადების, დანერგვისა და დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზები. კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე. კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

- შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას (უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას);
- სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

  კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.

  სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

  ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასკოლო კურიკულუმის პროექტი (2023-2024) გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმის შემუშავება **საბაზო საფეხურზე** ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმის შედგენის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და თვისობრივ თავისებურებებს, ცოდნას, ინტერესების სფეროს, გამოცდილებას, ასევე, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებულ რეფლექსიებს, მიგნებებს. სასკოლო კურიკულუმი 2023 წლის სექტემბერში შეთანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის ფორმა. სასკოლო კურიკულუმი წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი.

   საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.

   კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.
კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველჰყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების ჩარჩოებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, მის შემოქმედებით მუშაობას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებისა თუ სასკოლო პროექტის დაგეგმვისას აუცილებლად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, შერჩეული სასწავლო თემებისა და საკითხების აქტუალობას, რაც მათივე აზრით, აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლე აქტიურ როლს ასრულებდეს სასწავლო პროცესში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია პროექტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი კომპლექსური დავალებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეები აქტიურად ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, ამას ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და როგორც პირისპირ მასწავლებლები აღნიშნავდნენ, ეს ყველაფერი დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. სასკოლო კურიკულუმის პროექტში წარმოდგენილი დანართი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ უნარებს. მუსიკისა და ხელოვნებაში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრისას. მას სჭირდება შემოქმედებითობა, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაოები, რაც მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. მნიშვნელოვანია ის რომ მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ დიფერენცირებული სწავლების არსს. სკოლაში არის სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების რეგულაცია. მასწავლებლები ხელმძღვანელობენ ინდ. სასწავლო გეგმებით სსსმ მოსწავლეებთან.

მასწავლებლების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. კურიკულუმი მოსწავლეს ასევე სთავაზობს მრავალფეროვან იდეებს, კურიკულუმში თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით საკითხების შესწავლა ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, რაც წარმოადგენს საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესი და ინდივიდუალური შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა ჩართულობით. კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები, კონტექსტმაგალითები და დავალებები არის მრავალფეროვანი (მასწავლებელებს მითითებული აქვთ როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ვიდეორგოლები, მაორგანიზებელი ცხრილები, ბარათები, მანიპულატივები, ნიმუშები მოსწავლეებისთვის, ციფრული რესურსები), რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას გამოავლინოს თავისი ინტერესები და შესაძლებელობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ექსპერიმენტის). კათედრის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა იყენებს როგორც მოსწავლეების მიერ თვითშეფასებას ისე ურთიერთშეფასებასაც. ამდენად, შეფასების პროცესში ჩართულნი არიან თავად მოსწავლეებიც, აფასებენ როგორც ერთმანეთის მუშაობას, ისე საკუთარ ნაშრომს და გასცემენ რჩევებს/რეკომენდაციებს. ფიზიკის მასწავლებელმა კოლეგებთან ერთად შეჯერებული რუბრიკები წარადგინა, როგორც მან აღნიშნა არსებობს „საჩხერის ფიზიკოსთა ჯგუფი“, სადაც მოხდა შეფასების რუბრიკებისა და კომპლექსური დავალებების განხილვა შეჯერება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, ნაცნობიდან უცნობისაკენ მიმართება, რაც ასახულია კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, შედეგები წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრები მუშაობენ მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;
- სსსმ მოსწავლის პორტფოლიო;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები (კურიკულუმი, განხორიელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცეში გამოყენებული მალები/აქტივობები, მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე) გვიჩვენებს, რომ სკოლის სასწავლლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საგნობრივი კეთედრები საბაზო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლების მიდგომებით წარიმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მაგალითად, მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოკვეთილი მაგალითებიდან, მათ მიერ განხორციელებული დავალებებიდან (მაგ.,კლუბ ,,წიგნომანის“ შექმნა , კლუბის ფარგლებში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები) შეიძლება ითქვას, რომ საკლასო გარემოში მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის გზით. წახალისებულია შემოქმედებითი დავალებები, იმიტირებული პრობლემური სიტუაციები, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული დავალებები (მაგალითად, დისკუსია, მოთხრობის შექმნა, სიმულაციური სიტუაციები). გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების კუთხით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. 2023-2024 სასკოლო კურიკულუმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს გათვალისიწინებულია თვითშეფასების კითხვარები, შესასვლელი-გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირებები და მისი ანალიზი, შეკითხვების დასმა, გრაფიკული დიაგრამები.
გასაუბრების ეტაპზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს ე.წ თემის საკვანძო შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც, როგორც თავად აღნიშნეს, ეხმარებიან მოსწავლეს, აზროვნება წარმართოს თემაზე სამსჯელოდ. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების დაუფლებაზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა მასწავლებლებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა. კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც. გასაუბრების დროს საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე, როგორ შეუწყვეს ხელი მოსწავლის მხრიდან სასწავლო სტრატეგიების გაცნობიერებას, საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარის გამომუშავებას. სპორტში მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. საგნის ფარგლებში დაგეგმილი დავალებები, მიმდინარე საკლასო, საწრეო თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შემაჯამებელ დავალებებად გამოყენებულია კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რაც დასტურდება ვიზიტის დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებში, პორტფოლიოებში. კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. კურიკულუმებზე და კომპლექსური დავალებების ბარათებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგალითად, ბუნებისმტეყველების ფარგლებში მასწავლებელთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ არსებობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება ქართულთან, მათემატიკასთან, ისტორიასთან, სამოქალაქო განათლებასთან და სხვა. როგორც ინტერვიუს დროს გააჟღერდა, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სხვა კათედრების წარმომადგენლებთანაც. კომპლექსური დავალების შესრულება თავისთავად გულისხმობს, რომ მოსწავლეს შეუძლია მიღებული ცოდნა გადმოიტანოს ყოფაცხოვრებაში და გააკეთოს დასკვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- თვითშეფასების ფორმები მოსწავლეებისთვის;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბაზო საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასკოლო კურიკულუმის პროექტი მომავალი წლის პრიორიტეტად ისახავს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიულ განვითარებას, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. კათედრების მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტებიც სწორედ ამ საკითხს ეხმიანება. საგნობრივ კურიკულუმში შესასწავლი თემებთან მიმართებაში გაწერილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს, რითაც აძლევენ მოსწავლეს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე-ტექსტების, ფილმების მიმოხილვაზე. კათედრები გამოხატავენ მზაობას იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. **საბაზო საფეხურზე** კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად შეფასების ორივე ფორმას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით. ასევე წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებიც. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რამოდენიმე შეფასების რუბრიკა ეფუძნება სოლო ტაქსონომიას. ამასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა შეფასების სისტემის დახვეწისა და მკაფიოობის ხელშესაწყობად. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასკოლო სასწავლო გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. სასკოლო კურიკულუმის პროექტის თანახმად, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს. ეტაპობრივადმუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში განმავითარებელი კომენტარებით და უკუკავშირებით, რომლებითაც დასტურდება რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ, უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი გამოყენება საკუთარი პროგრესისთვის. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას, რამოდენიმე საკლასო ოთახში ფიქსირდებოდა შეფასების რუბრიკები. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (სოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტაქსონომიის მიხედვით) სანდოობის საფუძველს იძლევა, თუმცა სკოლამ უნდა იმუშაოს შეფასების ერთიანი სისტემის, მისი სანდოობის, ვალიდურობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხისათვის, რისი მზაობაც დაადასტურეს მასწავლებლებმა. მომდევნო ეტაპზე მოხდება შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და დახვეწა. კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი ერთ დოკუმენტად არ არის გაწერილი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდოლოგია და დოკუმენტები ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს, შეფასების პროცესის, მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების პროცედურებს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას, ინსტრუმენტების შექმნასა და მოსწავლის შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლის შეფასების პროცესების დაკვირვების შედეგად მოხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. მიმდინარე ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რითაც განისაზღვრა სკოლაში შეფასების ვერიფიკაციის სქემა. სქემაში წარმოდგენილია კომპონენტები და შეფასების გრადაცია კომპონენტების მიხედვით, რეფლექსიური ველი. მოიცავს ხუთ კომპონენტს: შეფასება, სასწავლო პროცესი, სასწავლო რესურსები, სასწავლო გარემო, მტკიცებულებები. იმისათვის, რომ განხორციელდეს **საბაზო** საფეხურის მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება, სკოლა ირჩევს პირველ ინსტრუმენტს - პარალელურ კლასებთან მომუშავე მასწავლებლები ერთი საგნობრივი პროგრამის ფარგლებში თანხმდებიან დათქმულ დროს (მაგალითად, სექტემბრში, აპრილის თვეში და ივნისში) პარალელურ რეჟიმში განახორციელონ იდენტური კომპლექსური დავალებები და რამდენიმე (მაგალითად, სიის მიხედვით ყოველი მეხუთე მოსწავლის) მოცემულობა დეტალურად აღწერონ დამხმარე ფორმის გამოყენებით. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. მასწავლებლები ამზადებენ ანგარიშს ამ ფორმის გამოყენებით. იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის სკოლის დირექციის წარმომადგენელი და რამდენიმე პედაგოგი. ჯგუფის წარმომადგენლები ეცნობიან ანგარიშის შევსებულ ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს. დაკვირვების შედეგებით ხდება პრობლემების იდენტიფიცირება. დასკვნების განზოგადება ხდება კათედრის დონეზე. თუმცა, თუკი დიაგნოსტირება ჩატარდება პარალელურად ხუთ საგანში, მაშინ პროცესები შესაძლოა სკოლის დონეზეც გაანალიზდეს. ასეთ შემთვევაში საჭირო იქნება კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სხვადასხვა საგანში გამოკვეთილ ტენდენციებს შეაჯერებს.

სკოლაში ვიზიტის დროს არ იყო დოკუმენტირებული საბაზო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი. არ იყო წარმოდგენილი მკაფიო რეგულაციები, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შეფასების სისტემის ხარისხიანობის განვითარებას. არ ჩანდა, თუ როგორ გეგმავდა სკოლა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. სკოლა გამოხატავდა მზაობას, რომ შეიმუშავებდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს მომავალი სასწავლო წლისთვის.

<u>სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (რაც გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმაშიც) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 11 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით #2-157 დამტკიცებულია ვერიფიკაციის დოკუმენტი. გაწერილია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, ვერიფიკაციის პრინციპები, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის პროცესი, ფოკუსი, ვერიფიკაციის ანგარიში და შედეგები,</u>

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრეფა და ანალიზი.
ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმის დანართები;
- თვითშეფასების ფორმები მოსწავლეებისთვის;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექტორი, როგორც ლიდერი, თავად არის მოდელი. ის ღიაა სასკოლო საზოგადოების მიმართ. სკოლაში გაზიარებულია ლიდერობა. შექმნილია რევიზიის ჯგუფი მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.

   ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებელი, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორი, ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნის გზით, არამედ, მოსწვალეთა კომპეტენციებით, მათი კომპონენტური ფუნქციური უნარების და საკვანძო იდეების სიღმისეული გააზრების პროგრესის საშუალებით.

   ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა, მოლაპარაკე კედლები საკლასო ოთხებსა და დერეფნებში. მაგალითად, საკლასო ოთახები გაფორმებულია მიმზიდველი და სასიამოვნო ილუსტრაციებით, თვალსაჩინოებით, სასწავლო მასალებით. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- სასკოლო პროექტის პორტფოლიო;
- კათედრის ოქმები;
- სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესის შედეგი. მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია, რაც გათვალისწინებულია სკოლის კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში. მეთოდოლოგიური ჩარჩო ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

შესაბამისად, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილის გასული 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში კათედრების მუშაობის სემესტრული/წლიური ანგარიშები, დირექტორის, მოადგილის, დამრიგებლის, მასწავლებლების ანგარიშები, რასაც ასევე დიდ როლი ენიჭება სასკოლო შეფასებასა და კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის **საბაზო საფეხურზე** კათედტრები თვლიან, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ **კათედრები** აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კითხვარები (მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის);
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ითვალისწინებს, რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ და დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ, ახალი კურიკულუმის შედგენისას სკოლა გაითვალისწინებს იმ პრობლემებს, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და სასკოლო კურიკულუმში ასახავს პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კათედრების ფუნქციებია საგნობრივი ჯგუფის საგნის სწავლების კოორდინირება, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.). შესაბამისად, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი და სასკოლო საოზგადოების ყველა ის წევრი, რომელსაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;**
- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

<u>საშუალო საფეხური</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიაში ასახულია კურუკულუმის შემადგენელ ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, კათედრები, მოსწავლეები, მშობლები და სკოლის დირექცია) როლი და მნიშვნელობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე, დოკუმენტში მოცემულია კურუკულუმის შემუშავების გზები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია, მისია, ხედვა, ღირებულებები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის მეთოდოლოგიაში განხილულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, ვადების, დანერგვისა და დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზები. კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე. კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

- შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას (უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას);
- სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

  კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება.

  სკოლა ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას სხვადასხვა საგანში, მიღებული შედეგების საფუძველზე შევა ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში.

  ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასკოლო კურიკულუმის პროექტი (2023-2024) გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმის შემუშავება საშუალო საფეხურზე ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება კურიკულუმების შემუშავება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმის შედგენის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და თვისობრივ თავისებურებებს, ცოდნას, ინტერესების სფეროს, გამოცდილებას, ასევე, მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებულ რეფლექსიებს, მიგნებებს. სასკოლო კურიკულუმი 2023 წლის სექტემბერში შეთანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის ფორმა. სასკოლო კურიკულუმი წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო ინტენსიურია დაგეგმვის პროცესში სასკოლო თემის ჩართულობა, მით უფრო მაღალია კურიკულუმის ხარისხი.

   საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.

   კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

რეფლექსიები, უკუკავშირები, პოზიტიური და უსაფრთხო გარემო, მოსწავლის შედეგების ანალიზები, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველჰყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების ჩარჩოებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, მის შემოქმედებით მუშაობას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებისა თუ სასკოლო პროექტის დაგეგმვისას აუცილებლად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, შერჩეული სასწავლო თემებისა და საკითხების აქტუალობას, რაც მათივე აზრით, აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლე აქტიურ როლს ასრულებდეს სასწავლო პროცესში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია პროექტული სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი კომპლექსური დავალებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეები აქტიურად ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში. კურიკულუმებში სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საშუალო საფეხურის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, ამას ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და როგორც პირისპირ მასწავლებლები აღნიშნავდნენ, ეს ყველაფერი დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. სასკოლო კურიკულუმის პროექტში წარმოდგენილი დანართი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ უნარებს. მუსიკისა და ხელოვნებაში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრისას. მას სჭირდება შემოქმედებითობა, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაოები, რაც მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. მნიშვნელოვანია ის რომ მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ დიფერენცირებული სწავლების არსს.

მასწავლებლების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. კურიკულუმი მოსწავლეს ასევე სთავაზობს მრავალფეროვან იდეებს, კურიკულუმში თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით საკითხების შესწავლა ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, რაც წარმოადგენს საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესი და ინდივიდუალური შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა ჩართულობით. კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები, კონტექსტმაგალითები და დავალებები არის მრავალფეროვანი (მასწავლებელებს მითითებული აქვთ როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ვიდეორგოლები, მაორგანიზებელი ცხრილები, ბარათები, მანიპულატივები, ნიმუშები მოსწავლეებისთვის, ციფრული რესურსები), რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას გამოავლინოს თავისი ინტერესები და შესაძლებელობები.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ექსპერიმენტის). კათედრის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა იყენებს როგორც მოსწავლეების მიერ თვითშეფასებას ისე ურთიერთშეფასებასაც. ამდენად, შეფასების პროცესში ჩართულნი არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თავად მოსწავლეებიც, აფასებენ როგორც ერთმანეთის მუშაობას, ისე საკუთარ ნაშრომს და გასცემენ რჩევებს/რეკომენდაციებს. ფიზიკის მასწავლებელმა კოლეგებთან ერთად შეჯერებული რუბრიკები წარადგინა, როგორც მან აღნიშნა არსებობს „საჩხერის ფიზიკოსთა ჯგუფი“, სადაც მოხდა შეფასების რუბრიკებისა და კომპლექსური დავალებების განხილვა შეჯერება.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, ნაცნობიდან უცნობისაკენ მიმართება, რაც ასახულია კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, შედეგები წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრები მუშაობენ მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;
- სსსმ მოსწავლის პორტფოლიო;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები (კურიკულუმი, განხორიელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცეში გამოყენებული მალები/აქტივობები, მოსწავლის და მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პორტფოლიო, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე) გვიჩვენებს, რომ სკოლის სასწავლლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საგნობრივი კეთედრები საბაზო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლების მიდგომებით წარიმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მაგალითად, მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოკვეთილი მაგალითებიდან, მათ მიერ განხორციელებული დავალებებიდან (მაგ.,კლუბ ,,წიგნომანის“ შექმნა , კლუბის ფარგლებში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები) შეიძლება ითქვას, რომ საკლასო გარემოში მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის გზით. წახალისებულია შემოქმედებითი დავალებები, იმიტირებული პრობლემური სიტუაციები, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული დავალებები (მაგალითად, დისკუსია, მოთხრობის შექმნა, სიმულაციური სიტუაციები). გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების კუთხით.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. 2023-2024 სასკოლო კურიკულუმის პროექტი და ინტერვიუ კათედრის წარმომადგენლებთან წარმოადგენს დასტურს იმისას, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებებზე მუშაობის დროს გათვალისიწინებულია თვითშეფასების კითხვარები, შესასვლელი-გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირებები და მისი ანალიზი, შეკითხვების დასმა, გრაფიკული დიაგრამები.

გასაუბრების ეტაპზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს ე.წ თემის საკვანძო შეკითხვები, რომელთა საშუალებითაც, როგორც თავად აღნიშნეს, ეხმარებიან მოსწავლეს, აზროვნება წარმართოს თემაზე სამსჯელოდ. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების დაუფლებაზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა მასწავლებლებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა. კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე, როგორ შეუწყვეს ხელი მოსწავლის მხრიდან სასწავლო სტრატეგიების გაცნობიერებას, საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარის გამომუშავებას. დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. საგნის ფარგლებში დაგეგმილი დავალებები, მიმდინარე საკლასო, საწრეო თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. შემაჯამებელ დავალებებად გამოყენებულია კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რაც დასტურდება ვიზიტის დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებში, პორტფოლიოებში. კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება.
ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. კურიკულუმებზე და კომპლექსური დავალებების ბარათებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგალითად, საბუნებისმტეყველო კათედრის ფარგლებში მასწავლებელთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ არსებობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა, მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება ბიოლოგიასთან, ფიზიკასთან და სხვა. როგორც ინტერვიუს დროს გააჟღერდა, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სხვა კათედრების წარმომადგენლებთანაც. კომპლექსური დავალების შესრულება თავისთავად გულისხმობს, რომ მოსწავლეს შეუძლია მიღებული ცოდნა გადმოიტანოს ყოფაცხოვრებაში და გააკეთოს დასკვნები.
ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- თვითშეფასების ფორმები მოსწავლეებისთვის;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საშუალო საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს(რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასკოლო კურიკულუმის პროექტი მომავალი წლის პრიორიტეტად ისახავს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიულ განვითარებას, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. კათედრების მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტებიც სწორედ ამ საკითხს ეხმიანება. საგნობრივ კურიკულუმში შესასწავლი თემებთან მიმართებაში გაწერილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს, რითაც აძლევენ მოსწავლეს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე-ტექსტების, ფილმების მიმოხილვაზე. კათედრები გამოხატავენ მზაობას იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად შეფასების ორივე ფორმას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით. ასევე წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებიც. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რამოდენიმე შეფასების რუბრიკა ეფუძნება სოლო ტაქსონომიას. ამასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა შეფასების სისტემის დახვეწისა და მკაფიოობის ხელშესაწყობად. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასკოლო სასწავლო გეგმიდან იკითხება, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. სასკოლო კურიკულუმის პროექტის თანახმად, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს. ეტაპობრივადმუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში განმავითარებელი კომენტარებით და უკუკავშირებით, რომლებითაც დასტურდება რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ, უნმარტავენ შეფასების რუბრიკებს, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი გამოყენება საკუთარი პროგრესისთვის. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას, რამოდენიმე საკლასო ოთახში ფიქსირდებოდა შეფასების რუბრიკები. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები (სოლო ტაქსონომიის მიხედვით) სანდოობის საფუძველს იძლევა, თუმცა სკოლამ უნდა იმუშაოს შეფასების ერთიანი სისტემის, მისი სანდოობის, ვალიდურობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხისათვის, რისი მზაობაც დაადასტურეს მასწავლებლებმა. მომდევნო ეტაპზე მოხდება შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და დახვეწა. კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. კათედრებზე წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები (პირობა, კავშირი სტანდარტთან, ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან, ანალიზის ფორმა, რეფლესიური ჩანაწერის ველი).

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლაში ვერიფიკაციიის მექანიზმი ერთ დოკუმენტად არ არის გაწერილი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდოლოგია და დოკუმენტები ითვალისწინებს ვერიფიკაციის გარკვეულ მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს, შეფასების პროცესის, მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების პროცედურებს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას, ინსტრუმენტების შექმნასა და მოსწავლის შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლის შეფასების პროცესების დაკვირვების შედეგად მოხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. მიმდინარე ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რითაც განისაზღვრა სკოლაში შეფასების ვერიფიკაციის სქემა. სქემაში წარმოდგენილია კომპონენტები და შეფასების გრადაცია კომპონენტების მიხედვით, რეფლექსიური ველი. მოიცავს ხუთ კომპონენტს: შეფასება, სასწავლო პროცესი, სასწავლო რესურსები, სასწავლო გარემო, მტკიცებულებები. იმისათვის, რომ განხორციელდეს **საშუალო** საფეხურის მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება, სკოლა ირჩევს პირველ ინსტრუმენტს - პარალელურ კლასებთან მომუშავე მასწავლებლები ერთი საგნობრივი პროგრამის ფარგლებში თანხმდებიან დათქმულ დროს (მაგალითად, სექტემბრში, აპრილის თვეში და ივნისში) პარალელურ რეჟიმში განახორციელონ იდენტური კომპლექსური დავალებები და რამდენიმე (მაგალითად, სიის მიხედვით ყოველი მეხუთე მოსწავლის) მოცემულობა დეტალურად აღწერონ დამხმარე ფორმის გამოყენებით. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. მასწავლებლები ამზადებენ ანგარიშს ამ ფორმის გამოყენებით. იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის სკოლის დირექციის წარმომადგენელი და რამდენიმე პედაგოგი. ჯგუფის წარმომადგენლები ეცნობიან ანგარიშის შევსებულ ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს. დაკვირვების შედეგებით ხდება პრობლემების იდენტიფიცირება. დასკვნების განზოგადება ხდება კათედრის დონეზე. თუმცა, თუკი დიაგნოსტირება ჩატარდება პარალელურად ხუთ საგანში, მაშინ პროცესები შესაძლოა სკოლის დონეზეც გაანალიზდეს. ასეთ შემთვევაში საჭირო იქნება კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სხვადასხვა საგანში გამოკვეთილ ტენდენციებს შეაჯერებს.

სკოლაში ვიზიტის დროს არ იყო დოკუმენტირებული საშუალო საფეხურზე შეფასების ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი. არ იყო წარმოდგენილი მკაფიო რეგულაციები, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შეფასების სისტემის ხარისხიანობის განვითარებას. არ ჩანდა, თუ როგორ გეგმავდა სკოლა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. სკოლა გამოხატავდა მზაობას, რომ შეიმუშავებდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს მომავალი სასწავლო წლისთვის.

<u>სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (რაც გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმაშიც) და შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ 2023 წლის 11 ოქტომბერს დირექტორის ბრძანებით #2-157 დამტკიცებულია ვერიფიკაციის დოკუმენტი. გაწერილია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, ვერიფიკაციის პრინციპები, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის პროცესი, ფოკუსი, ვერიფიკაციის ანგარიში და შედეგები,</u>

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრეფა და ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმის დანართები;
- თვითშეფასების ფორმები მოსწავლეებისთვის;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექტორი, როგორც ლიდერი, თავად არის მოდელი. ის ღიაა სასკოლო საზოგადოების მიმართ. სკოლაში გაზიარებულია ლიდერობა. შექმნილია რევიზიის ჯგუფი მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგია, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებელი, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორი, ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნის გზით, არამედ, მოსწვალეთა კომპეტენციებით, მათი კომპონენტური ფუნქციური უნარების და საკვანძო იდეების სიღმისეული გააზრების პროგრესის საშუალებით.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა, მოლაპარაკე კედლები საკლასო ოთხებსა და დერეფნებში. მაგალითად, საკლასო ოთახები გაფორმებულია მიმზიდველი და სასიამოვნო ილუსტრაციებით, თვალსაჩინოებით, სასწავლო მასალებით. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- სასკოლო პროექტის პორტფოლიო;
- კათედრის ოქმები;
- სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესის შედეგი. მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია, რაც გათვალისწინებულია სკოლის კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიაში. მეთოდოლოგიური ჩარჩო ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

შესაბამისად, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. წარმოდგენილის გასული 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში კათედრების მუშაობის სემესტრული/წლიური ანგარიშები, დირექტორის, მოადგილის, დამრიგებლის, მასწავლებლების ანგარიშები, რასაც ასევე დიდ როლი ენიჭება სასკოლო შეფასებასა და კურიკულუმის განვითარებაში.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის საშუალო საფეხურზე კათედტრები თვლიან, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კითხვარები (მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის);
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა ითვალისწინებს, რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ და დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობისა და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ, ახალი კურიკულუმის შედგენისას სკოლა გაითვალისწინებს იმ პრობლემებს, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და სასკოლო კურიკულუმში ასახავს პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კათედრების ფუნქციებია საგნობრივი ჯგუფის საგნის სწავლების კოორდინირება, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.). შესაბამისად, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი და სასკოლო საოზგადოების ყველა ის წევრი, რომელსაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის (2023-2024) პროექტი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ხელმოწერები:

ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) -

ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) -

ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)-

ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)-

ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი) -

ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)-

ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)-

თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი) -

შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი) -

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)-

ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) -

24.10.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---